საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 19 თებერვალი 1920 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთობა

ფასი 3 მანეთი

გაზეთის ფასი 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 3 მანეთი. განცხადების ფასი ბოლო გვერდზე პეტიტის სტრიქონი 5 მანეთი. პირველ გვერდზე 4 მან. „სამგლოვიარო" განცხადება [illegible] მისი 15×3 სტრიქონი ფასი 100 მანეთი. ხოლო განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: კრუზენშტერნის ქ. 4, [illegible] ქუჩის 3-18-ით.

№ 39

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა

№ 39

თავზარდაცემული მშობლები სერგო და ანეტა ქუთათელაძეები შვილებით: თილკო, ლიზიკო, ანიკო და ლუტუშა აცნობებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ შაბათს, 21 თებერვალს, გადახდილი იქნება [illegible] თავის წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაკარგულის ხონის ქალთა გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფის

თინასი

წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება ხონის მაცხოვრის ეკლესიაში, წირვა დაიწყება დილის 10 საათიდან. (525 1—1)

გულდათუთქული ბიძია [illegible] და ბიძა ივანე [illegible] აცნობენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ შაბათს, 21 თებერვალს გადახდილი იქნება [illegible] თავის წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაკარგულის ხონის ქალთა გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფის

თინასი

წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება ხონის მაცხოვრის ეკლესიაში, დილის 10 საათიდან. (523 1—1)

ღრმად დამწუხრებული დედა ნატალია და ძმები [illegible] აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ სოფ. [illegible] (ქუთ. მაზ.) უდროოდ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მეექვსე კლასის 16 წლის მოწაფე

აკაკი ივანეს ძე თევზაძე

დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს, 19 თებერვალს. (ფ. 1—1)

[illegible] ასული, [illegible] დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, თებერვლის 19 გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი [illegible] გარდაცვლილი

ალექსანდრე ზურაბის ძე გოგვაძის

სულის მოსახსენებლად სოფელ [illegible] წმინდა გიორგის ეკლესიაში. (594 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი და გულდაწყვეტილნი დედა ანნა [illegible] და მამა მიხეილ [illegible] შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ამა წლის თებერვლის 16-ს [illegible] გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი შვილი

ტასიკო

(590 1—1)

შვილი [illegible] და მეუღლე მისი [illegible], [illegible] და [illegible], შვილიშვილი [illegible] და [illegible]: [illegible] აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 15 თებერვალს [illegible] გარდაიცვალა მათი [illegible]

სოფიო პეტრეს ასული ქვარიანისა

რომლის დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს, 19 თებერვალს, [illegible] 4 საათზე [illegible] [illegible] (ფ. 587 1—1)

ღრმად მწუხარებით [illegible]: [illegible], შვილებით: [illegible], [illegible] და [illegible] აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, [illegible] და [illegible]

ბესარიონ ლუკას ძე ხოშტარიას

გარდაცვალებას ქ. [illegible] [illegible], 21 თებერვალს [illegible]. [illegible] 3 საათზე [illegible] (591 1—1)

[illegible]: მეუღლე [illegible] ძე, შვილები: [illegible], [illegible], [illegible], [illegible], [illegible] და [illegible]; [illegible]: [illegible], [illegible] და [illegible]; [illegible]: [illegible] [illegible] აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 15 თებერვალს, [illegible] გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი

ბაბილინე რომანოზ ჯაშის ასული დევაძისა

[illegible] ხუთშაბათს, 19 თებერვალს, შუადღის 12 საათზე; [illegible] (593 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: [illegible], [illegible]: [illegible], [illegible] და [illegible], [illegible]: [illegible] და [illegible] აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასის

ვანო ფარნაოზის ძე ლომთათიძის

გარდაცვალებას, [illegible] ხუთშაბათს, 19 თებერვალს დილით 12 ს. [illegible] (565 1—1)

ავათმყოფობის გამო

ვყიდი იაფად

[illegible] ცალ-ცალკე [illegible]. მისამართი: [illegible] ქ. 3, [illegible] № 99. (561—3—3)

ექიმი ბ. ი. [illegible]

[illegible] ავადმყოფებს ხედავს 4—6 საათამდის. [illegible] ქუჩა № 22, [illegible]. (ნ.—ი.)

სამტრედიის მომხმარებელი კოოპერატივი „დახმარება" გამგეობა იწვევს წევრთა წლიურ

საზოგადო კრებას

22 თებერვალს 1920 წელს და თუ კანონიერი რიცხვი წევრებისა არ გამოცხადდა გადაიდება 29 თებერვლისათვის დილის 10 საათიდან ქალაქის [illegible] დარბაზში.

დღის წესრიგი:

1) მოხსენებები გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა.
2) საანგარიშო (1919) წლის ანგარიშის განხილვა, დამტკიცება და მოგების განაწილება.
3) 1920 წლის ხარჯთ აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
4) წევრთაგან პაების შეტანა და საწევრო გადასახადის გადიდება.
5) მიმდინარე კითხვები.
6) არჩევნები გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა.

გამგეობა. (537—3—1)

შრომის სამინისტროს მუშათა მაღაზია

აცნობებს ყველა მუშებს და მოსამსახურეებს, რომელთაც მიიღეს

სასურსათო წიგნაკები სახელმწიფო ფონდიდან

სურსათის მისაღებათ, მათ უნდა მიეწერონ [illegible] ქალაქის სასურსათო განყოფილებისა, კოოპერატივ „[illegible]"-ის, [illegible] ეკონომიურ საზოგადოებისა, ქალაქის მოსამსახურეთა ეკონომიური საზოგადოებისა ან უნდა შეუერთდნენ ჯგუფ ჯგუფად სანოვაგის პირდაპირ ცენტრალურ საწყობიდან მისაღებათ. ფორმა [illegible] ბლანკებისა [illegible].

(6. 3—1) მუშათა მაღაზიის რწმუნებული.

ოსმალეთის საკითხი

საქართველოს მომავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის მოსაზღვრე სახელმწიფოების ბედს. მათ შორის ოსმალეთის საკითხი დღეს-დღეობით ისე მწვავე არა დგას ჩვენს წინაშე, როგორც, მაგ., დენიკინის ან საბჭოთა რუსეთის საკითხი. მაგრამ ყველა ნიშნები მიგვითითებს, რომ ახლო მომავალში ოსმალეთის საკითხი ჩვენს წინაშე აღიმართება მთელი თავისი სიმწვავით, სირთულით და მთელი თავისი [illegible]. ჩვენ მოვალენი ვართ განსაკუთრებით თვალყური ვადევნოთ ამ მოსაზღვრე სახელმწიფოს ბედს, მით უმეტეს, რომელიც სულ ორი წლის წინათ [illegible] მოევლინა ჩვენს ქვეყანას და რომლის ბატონობა ჯერ კიდევ არ წარხოცილა ჩვენი ცნობიერებიდან. [illegible] ჭრილობა, რომელიც ოსმალეთმა მოგვაყენა ჩვენ, ჯერ კიდევ [illegible] არ შეხორცებულა: ჯერ კიდევ საკითხავია, შერჩება თუ არა ჩვენს სახელმწიფოებრივ ორგანიზმს ის ნაწილი, რომელშიაც ოსმალთა ლაშქარმა მიაყენა მას ყველაზე საშინელი ჭრილობა და [illegible] სამუდამოთ დასახიჩრებული დარჩება: ჩვენ ვლაპარაკობთ ბათუმზე და ბათუმის ოლქზე. ოსმალეთის ბედი ჩვენთვის მარტო წარსულის საკითხი არ არის. იგი ჩვენი რესპუბლიკის აწმყოზედაც ახდენს თავის გავლენას და მომავალში კიდევ უფრო დიდ-მნიშვნელობას მიიღებს. დღეს ჩვენი რესპუბლიკა მრავალგზით გრძნობს თავის თავზე ოსმალეთის გავლენას. გავიხსენოთ თუნდაც ის გარემოება, რომ დღიურ წესრიგში დაყენებულია ინგლისის ჯარის მიერ ბათუმის და მის ოლქის დაცლა და რომ მრავალ სახელმწიფოთა რიცხვში, რომლებიც ამ რაიონზე პრეტენზიებს აცხადებენ, ოსმალეთს თითქმის პირველი ადგილი უჭირავს. არის ცნობები, რომ ოსმალთა რაზმი კიდევ დაბანაკებულია ბათუმის ოლქში შემოსასვლელად, როგორც კი ინგლისის ჯარი წავა აქედან. გავიხსენოთ კიდევ მეორე გარემოება, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის ყურადღებას ოსმალეთს აპყრობს,—სომხეთა და მუსულმანთა ჩხუბი, რომელიც არტაანის ოლქში ხდება და რომელიც დიდს [illegible] საქმეს უქმნის ჩვენს რესპუბლიკას. ან გავიხსენოთ კიდევ ის გავლენა, რომელსაც ახდენენ ოსმალთა აგენტები ჩვენს მეზობელ აზერბეიჯანის და დაღესტნის ცხოვრებაზე. ყველა ეს გარემოებები ისეთი დიდმნიშვნელოვანია, რომ ყოველი პასუხისმგებელი პოლიტიკური პარტია მოვალეა სერიოზული ანგარიში გაუწიოს მათ, გაითვალისწინოს მომავალი იმისთანა, ჩვენ რესპუბლიკასთან შედარებით, დიდი სახელმწიფოსი, როგორიც ოსმალეთია და ის გავლენა, რომელსაც მოახდენს ჩვენს რესპუბლიკაზე ოსმალეთის ბედის ასე თუ ისე გადაწყვეტა.

„შეთანხმების" სახელმწიფოთა საბჭომ, როგორც უკანასკნელ დეპეშებიდან ჩანს, უკვე [illegible] ოსმალეთის საკითხს და კიდევაც შეთანხმებულა მის ზოგიერთ პუნქტებში. [illegible] საკითხი, რომელიც საბჭოს წინაშე იდგა, ასეთი იყო: დარჩეს ოსმალეთი ევროპაში, თუ იგი გადაიქცეს მხოლოდ აზიის სახელმწიფოდ? დარჩეს ოსმალეთის ხელში კონსტანტინოპოლი და მისი ევროპიული რაიონი, თუ ეს ქალაქი ჩამოერთვას მას? როგორც საფრანგეთის დეპეშა იტყობინება, წინეთ საფრანგეთსა და ინგლისს შორის ამ საკითხში [illegible] წინააღმდეგობა ყოფილა.

საფრანგეთი დღემდის [illegible] მოითხოვდა, რომ ოსმალეთს შერჩენოდა კონსტანტინოპოლი და ევროპიული ნაწილები. ეს ადვილი ასახსნელიც არის, თუ გავიხსენებთ იმ გარემოებას, რომ კონსტანტინოპოლში და ოსმალეთის ევროპიულ ნაწილში საფრანგეთის ბურჟუაზიის დაბანდებული კაპიტალი იყო [illegible]. მეორეც საფრანგეთის [illegible] ეს ადგილები მეტწილად „ოსმალური საფრანგეთი" იყო. ოსმალეთის მმართველ წრეებში ფრანგული ენა სახელმწიფო ენათ იყო გადაქცეული. კონსტანტინოპოლში ფრანგული ენის მცოდნე თავისუფლად ისარგებლებდა ოსმალეთის ენის დაუხმარებლად. უმთავრესი მსხვილი საწარმოო დაწესებულებანი ფრანგების ხელში იყო. ამის წინა წლებში საფრანგეთის კონკურენტათ ამ ადგილებში გამოვიდა გერმანია, რომელიც საფრანგეთზე ძლიერი გამოდგა და დაიწყო მისი გამოდევნა ოსმალეთიდან. დღეს გერმანიის დამარცხებამ საფრანგეთს სრულიად მოაშორა ეს ძლიერი მეტოქე და საფრანგეთს თავისუფლად შეუძლიან დაიბრუნოს დაკარგული გავლენა კონსტანტინოპოლში და ოსმალეთის ევროპიულ ნაწილებში. ამით აიხსნება, რომ საფრანგეთი მოითხოვს ამ ადგილების ოსმალეთის ხელში დატოვებას. ეს ნიშნავს საფრანგეთის დაბრუნებას იმ ადგილებში, საიდანაც იგი გერმანიამ გამოდევნა.

ინგლისის პოლიტიკა [illegible] ამ საკითხში [illegible]. მან ცვლილება განიცადა. უკანასკნელ დრომდის ინგლისი [illegible] ამ აზრისკენ იხრებოდა, რომ ოსმალეთი უნდა განიდევნოს აზიაში და მოთავსდეს იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც ფაქტიურ უმრავლესობას ოსმალები შეადგენენ. დღეს კი იგი უკვე იმ აზრს დასდგომია, რომელსაც საფრანგეთი ადგია—რომ სტამბოლი და ბალკანეთის [illegible] ნაწილი უნდა ოსმალეთის ხელში დარჩეს. ინგლისის მიერ ასეთი გამოცვლა პოლიტიკური ხაზისა, საბჭოთა რუსეთის გავლენით უნდა აიხსნას. ინგლისის უდიდესი პოლიტიკური მოღვაწენი დიდი ხანია შეშფოთებულნი არიან იმ პოლიტიკური კურსით, რომელსაც დაადგნენ უკანასკნელ ხანებში მოსკოვის მოღვაწენი: მათ აფიქრიანებს ის „[illegible] კომუნიზმი", რომლის საშუალებითაც ბოლშევიკები თანაგრძნობას პოულობენ მუსულმანურ ქვეყნებში, მათ შორის ინდოეთის მოსაზღვრე ავღანისტანში. საშიშია, რომ ამ თანაგრძნობამ ინდოეთშიაც არ იჩინოს თავი. ამ გარემოების გავლენით ინგლისელები დღეს ცდილობენ ისეთ ნაბიჯს გადადგმას, რაც ინდოეთის მუსულმანობაზე ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენდა. ოსმალეთის [illegible] მოიტანდა და ეს აიძულებს ინგლისს დაადგეს იმისთანა ხაზს, რომლის საშუალებითაც გააბათილებს ბოლშევიკების „აღმოსავლეთურ პოლიტიკას".

ასე თუ ისე შეიძლება ისევ ის, რასაც ადგილი ჰქონდა მთელ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში: „ავადმყოფი სახელმწიფო"—ოსმალეთი—ერთხელ კიდევ სიცოცხლისაკენ ბრუნდება იმ მეტოქეობის წყალობით, რომელსაც ერთმანეთს შორის ეწევიან ევროპის სახელმწიფონი. იყო შემთხვევები, როდესაც რუსეთს გაუწევია მისთვის მხარი ინგლისის ჯიბრით; სამაგიეროდ, ინგლისსაც გადაურჩენია იგი რუსეთის შიშით. საფრანგეთი მხარს უჭერდა მას გერმანიასთან მეტოქეობით; ამის წინა ხანებში იგი გერმანიის „პაციენტათ" გადაიქცა. დღეს კიდევ ერთხელ იხსნის მას სიკვდილისაგან ევროპის სახელმწიფოთა მეტოქეობა.

ეკლესია და სახელმწიფო

დიდი ხანი [illegible] ეკლესიის [illegible] გარშემო. [illegible], საქმე ეხება არა ეკლესიას, არამედ მღვდლების მოქმედებას.

ეკლესია, როგორც კლერიკალური ორგანიზაცია, როგორც გაბატონებული, მქონებელ კლასების მოსამსახურე სახელმწიფოებრივი ძალა, [illegible] მისი გავლენა. ამიტომ თვით უდიდესი [illegible] აქტი, რომლითაც [illegible] საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა და სრულიად საქართველოს კათოლიკოსი [illegible], [illegible] ყოფილი, [illegible] პოლიტიკური გავლენა არ მოუხდენია რესპუბლიკის საქმეებზე.

მაგრამ ეკლესიის წარმომადგენლების ხელში დარჩა ბევრი სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის საქმეები—მოქალაქის მდგომარეობის აქტების შედგენა, ქორწინება, რომელიც იურიდიულ საფუძველს ქმნის ოჯახისათვის, ნათლობა, რომლითაც აღინიშნება ადამიანის დაბადება — ყველა ეს ჯერჯერობით [illegible] მღვდლების ხელშია. მღვდლების ხელშია აგრეთვე გარდაცვალების აღნიშვნა და განქორწინება, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო ურთიერთობაში. და თუ რამე აღელვებს და აშფოთებს გონებას, ეს არის წინააღმდეგობა, რომელიც ყველას ეჩხირება თვალში: ერთის მხრით უაღრესად დემოკრატიული მმართველობა სოციალისტების წინამძღოლობით, ხოლო მეორე მხრით ზემო აღნიშნულ წმინდა სახელმწიფოებრივ ფუნქციების მღვდლების ხელში დატოვება.

ამას ზედ ერთვის კიდევ ერთი გარემოება. ცხოვრების გაძვირების საოცარმა ზრდამ უკიდურეს მდგომარეობაში ჩააგდო მღვდლები და ისინი იძულებული გახდნენ მღვდელმოქმედების ფასი აეწიათ. თუ წინათ შეუმჩნევლად მიდიოდა ეს, დღეს ყველას თვალში ეჩხირება სულიერ მამების სიხარბე, რაც ერთნაირად აშფოთებს, როგორც ურწმუნოთ, ისე მორწმუნეებს. მღვდლების თვალთმაქცობას ფარდა აეხადა და ხალხმა აშკარათ დაინახა, რომ მათ ამოძრავებს არა ღმერთი, არამედ საკუთარი ინტერესების სამსახური.

სახელმწიფო მოვალეა ამ გარემოებას ანგარიში გაუწიოს. ზოგიერთი სოფლები საჭიროთ ხდიან, რომ მღვდლებისათვის იყოს ნიხრი დაწესებული. ჩვენ არა გვგონია ეს ზომა მიზანშეწონილი იყოს: ნიხრის დაწესება შეიძლება მხოლოდ მოხელეებისათვის. მღვდლები კი დემოკრატიულ ქვეყანაში, სადაც სინიდისის და რწმენის თავისუფლება ბატონობს, ვერ დარჩებიან მოხელეებათ. მაშასადამე, საჭიროა, რაც შეიძლება ჩქარა გატარდეს ეკლესიის და სახელმწიფოს განცალკევება. ამისათვის კი პირველ ყოვლისა საჭიროა მეტრიკების შედგენა და ქორწინების აქტის შესრულება თვითმმართველობებს გადაეცეს, საჭიროა შემოვიღოთ განქორწინების [illegible] წესი და ეს უკანასკნელი საქმეც სამოქალაქო უწყებას გადაეცეს. ეს თვით ეკლესიისათვისაც ხელსაყრელი იქნება, რადგან ხელს შეუწყობს თვით სარწმუნოების სფეროს გაწმენდასაც: ნამდვილი მორწმუნენი ყოველ [illegible] თვითონ შექმნიან იმ ორგანიზაციას, რომელსაც საჭიროთ დაინახავენ. ეს მათი სინიდისის საქმე იქნება. ზოგს ასეთი სარწმუნოება ექნება, ზოგს ისეთი. გამოჩნდებიან ისეთებიც, რომლებიც ყოველგვარ სარწმუნოების გარეშე [illegible].

სახელმწიფოს აქ ხელი არ უნდა ჰქონდეს.

ვიმეორებთ, საჭიროა სარწმუნოებრივ ურთიერთობათა დროზე მოწესრიგება, რათა თავიდან აცილებულ იქნას მრავალგვარი გაუგებრობა, რომელსაც დღეს ადგილი აქვს დაბა-სოფლებში.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

18 თებერვალი

ფრანგული პრესის ცნობები.

ლონდონიდან იუწყებიან: პირველი საქმე, რომელიც ლონდონში ჩამოსვლისას მარშალმა ფოშმა გააკეთა, ეს იყო ხელის მოწერა ფონდზე, რომლითაც ინგლისელებს მარშალ [illegible] ფულის შეგროვება სურდათ, რათა მან თავისი გვარეულობის ისტორიული მამული [illegible] გამოისყიდოს.

ოსმალეთის საკითხის მოგვარების შემდეგ [illegible] კონფერენცია რუსეთის საკითხის განხილვას შეუდგება.

იმ შეკითხვაზე, აქვთ თუ არა უფლება ნეიტრალურ სახელმწიფოებიდან გამოსახლებულთ, რომელნიც [illegible] დაზარალდნენ, მოითხოვონ ზარალის ანაზღაურება,—[illegible] უპასუხა, რომ თანახმად 1919 წლის აპრილის 19 კანონისა, მე 4 პარაგრაფის მე 3 მუხ. ზარალი საფრანგეთში იმ უცხოელ [illegible], თუ იმ სახელმწიფოს, რომელსაც [illegible] და საფრანგეთის მთავრობას შორის ამის შესახებ ხელშეკრულობა იყო დადებული. დღემდის კი ამგვარი ხელშეკრულება არც ერთ ნეიტრალურ ქვეყანასთან არ ყოფილა დადებული.

[illegible] მოსული ცნობით აღმოსავლეთ [illegible] შემდეგნაირი მდგომარეობა ყოფილა: [illegible] სიდი [illegible] აღმოსავლეთის მხრიდან [illegible], მტერი [illegible] ხელის [illegible], მაგრამ [illegible] და [illegible] გაიფანტა. იგი [illegible] და [illegible].

[illegible] მოელიან ლონდონის კონფერენციის შედეგების ანგარიშებს. ჩვენი ძლიერი კმაყოფილება ერთ მოკავშირეებთან საუბრის მიმდინარეობით, [illegible] მილერანმა კვირას ლონდონიდან დაბრუნების შემდეგ. [illegible] ძლიერ კმაყოფილია თავისი მგზავრობით. თანამშრომლობა, რომელიც ინგლისის მთავრობისა და საფრანგეთის წარმომადგენლების შორის დამყარდა, [illegible], 83 დროა.

მარშალ ფოშმა [illegible] სამხედრო საბჭო, რათა განიხილონ, თუ რა ზომების მიღება შეიძლება [illegible] (სტრიქტიებზე?)

პრეზიდენტმა ვილსონმა კონფერენციის თავმჯდომარეს მილერანს წერილი გაუგზავნა ადრიატიკის საკითხის შესახებ. შეერთებული შტატების პრეზიდენტი უარს აცხადებს იმ პროექტის ცნობაზე, რომელიც ინგლის საფრან-

დღეს

ოსმალეთის საკითხის გარჩევის შემდეგ ილჩების კონფერენცია რუსეთის საკითხის განხილვას შეუდგება.

ვარშავაში სპეციალური კომისია იმუშავებს პოლონეთ-რუსეთის საზავო ხელშეკრულების პირობებს.

ლიტვის ფაქტიური მთავრობის პრემიერ-მინისტრი ლონდონში მივიდა.

ბოლშევიკების ცნობით მოსკოვის საბჭოში კომუნისტებს ირჩევენ.

ნოვოჩერკასკის რაიონში საბჭოთა ჯარმა სტანიცა ბაგაევსკაია დასტოვა.

ველიკო კნიაჟესკაიასა და მანიჩის რაიონებში მკაცრი ბრძოლაა.

ფიუმის 1920 წ. იანვრის კომპრომისი განსხვავდება 9 დეკემბრის საზღვრიდან, რომელიც მოკავშირეებმა იტალიას გადასცეს.

ლეიტენანტი ლეფრინკი რომელიც ხრაფაელიდან დაკარში გადაფრენას ფიქრობდა, ს. რაფუელიდან გილერო-შეფრო-მლანით გამოფრინდა და დაკარში პირველ თებერვალს მიფრინდა. ის გაჩერდა: მაროკოში, კანარის კუნძულებზე და ეტიენის ნავთსადგურში. ეს პირველი ავიატორია, რომელიც ევროპიდან დაკარში საჰაერო გზით მივიდა.

კამათი კაიოს საქმის შესახებ უმაღლეს სასამართლოში სამშაბათს დაიწყო. ფიქრობენ, რომ კამათი მაისის დამლევამდის გაგრძელდება.

სპეციალური კომისია ვარშავაში იმუშავებს პოლონეთ-რუსეთის საზავო ხელშეკრულების პირობებს, რომლის პროექტს საზავო კონფერენციას წარუდგენენ ამის შემდეგ დაიწყება მოლაპარაკება.

გაზეთებმა გვაუწყეს მოკავშირეების პასუხი გერმანიის და ჰოლანდიის მიმართ. მოკავშირეები უარს არ აცხადებენ, რომ გერმანიის დამნაშავეთა გასამართლება ლეიპციგის სასამართლოში მოხდეს, მაგრამ იტოვებენ უფლებას განაახლონ სასამართლო, თუ სასჯელი არ იქნება დანაშაულობის შესაფერი. ამგვარად ყველა მათი უფლება ძალაში რჩება. მოკავშირეები მოითხოვენ, რომ ჰოლანდიამ ექს-კაიზერი ისეთ მდგომარეობაში ჩააყენოს, რომ მომავალში მან თავისი გავლენა ვერ იქონიოს და საკითხის ხელ ახლა განხილვას მოითხოვენ.

ლონდონის კონფერენციას ორშაბათს დილასა და სალამოს სხდომები ჰქონდა. გაზეთების ცნობით დღის წესრიგში იდგა: ოსმალეთის საკითხის დაახლოვებითი გარჩევა, მდგომარეობა პატარა რესპუბლიკებისა, როგორც მაგალითად სომხეთის, რომელიც ოსმალეთის იმპერიის ნაწილებისაგან აღორძინდება. ეგ ნიშნულობა ილაპარაკა ფრაკიისა და სმირნის საბერძნეთზე საბოლოო შეერთების შესახებ.

პრეზიდენტი პუანკარე ორშაბათს დილით ვერდენში მივიდა. ნახა ქალაქი და ბრძოლის ველი. მოკლე სიტყვა წარმოთქვა და ქალაქს სამხედრო ჯვარი გადასცა. სალამოს ის პარიზში დაბრუნდა.

რაიმონდ პუანკარეს წერილი, რომელსაც პალატაში ხუთშაბათს წაიკითხავენ, შედგება ასი სტრიქონისაგან. რესპუბლიკის პრეზიდენტი მიმართავს რა მადლობით პარლამენტს, აღნიშნავს იმ ერთსულოვნებას, განსაკუთრებით ეხლანდელ მომენტში, რომ ორივე პალატამ ხალხის საკეთილდღეოთ იმოქმედონ სრული შეთანხმებით.

ინგლისური პრესის ცნობები
(ლონდონიდან)

პარიზში წამოსულმა მილიერანმა რეიტერის სააგენტოს წარმომადგენელს განუცხადა, რომ ამრათ მაქვს ერთი კვირის შემდეგ ლონდონში დაბრუნება. მან ამას დაუმატა: ლონდონის მოლაპარაკების კარგი დასაწყისი ჩანსო. საფუძვლიანო დამოკიდებულება არის საფრანგეთსა და ინგლისს შორის. ჩვენი საქმე ორი კვირის შემდეგ გათავდება. მანამდის კი, დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ყველაფერი კარგათ არის, ცა მოწმენდილია, ღრუბლები არ არისო.

„ტაიმსის“ სიტყვით უმაღლესმა საბჭომ გერმანიას ომის კანონების დამრღვევთა შესახებ ნოტა გაუგზავნა. „ტაიმსი“ სწერს: მართალია, ეს ნოტა იცავს მოკავშირეთა უფლებას, რომ მათ გადაჭრით მოითხოვონ საზავო ხელშეკრულობის პირობების ასრულება, მაგრამ ეს მოთხოვნილება არ შეიძლება პრეცენდენტათ გახდეს, თუ საქმეთა სვლის იმ მოთხოვნილებას, რომელიც ჩვენ თავიდანვე წამოვაყენეთ ტყვეების გაცემის შესახებ და ლეიპციგის გერმანიის უმაღლეს სასამართლოს აძლევს უფლებას განსაჯოს ის ბრალდებანი, რომელსაც იგი თვითონ მოაწერს დამნაშავეებს.

ინგლისელებმა საზეიმო დღე გაუმართეს ფორტ დიუნკირხენს. დეპუტატთ გადაეგზავნენ ამირბარი სერ როჯერ კიიზი, რომელიც სარდლობდა ზეებრიუგეზე შემოტევის დროს. დიუნკირხენი ბელგიის საზღვაო ნაპირის წინაღმდეგ ინგლისის საზღვაო ოპერაციების ბაზათ იყო. ნავთსადგური ინგლისის ფლოტისათვის უახლოეს ბაზათ იყო 4 წლის განმავლობაში. აქ იყო ჰაერში ფრენის პარკი, რომელმაც საარაკო გმირობა გამოიჩინა ხმელეთზე მყოფ გერმანელთა წინაღმდეგ. გერმანელებმა აქ ჩამოყარეს რამდენიმე ათასი ყუმბარა ჰაეროპლანებიდან მაგრამ დიუნკირხენი მაინც მაგრათ იდგა. ინგლისელებს ფონდის საშუალებით აქ არსდება ნოქართა კლუბი და საზღვაო ინსტიტუტი.

ლიტვის ფაქტიური მთავრობის პრემიერ მინისტრი ერნესტ გალვანაუსკისი თავისი მისიით ლონდონში ჩამოვიდა. გაზ. „მორნინგ პოსტის“ წარმომადგენელს მან განუცხადა: „უკვე გადადგმულია ნაბიჯები და მოლაპარაკება (წარმოებს), რომ ახლათ შობილი სახელმწიფო ფეხზე დააყენონ. მოკლედ რომ ვსთქვათ, ინგლისის მთავრობამ მოიწონა პლანი, რომლის მიხედვით ლიტვა ფინანსიური და სავაჭრო საკითხებში ინგლისთან შეთანხმებით მოქმედებს და დახმარებას ღებულობს ლონდონის დიდი ბანკირებიდან. ამგვარივე გზით ამგვარსავე პირობებში დასახული იქნება ესტონეთისა და ლატვიასთან დასადებ პირობებში. სრულებით უსაფუძვლო იქნება ვინმემ იფიქროს, თითქოს იმ ხელშეკრულებით ინგლის სურდეს ბალტიის მხარეში ნედლი მასალის გატანისა და მანუფაქტურისა და დამზადებულ საქონლის ბალტიის მხარეში შემოტანის მონოპოლია მიიღოს.

გალვანაუსკასი და მისი მისიის წევრები აცხადებენ, რომ შეთანხმება არ არის არავითარ შემთხვევაში მონოპოლია. ეს ჯგუფი ხელს შეუწყობს ქვეყნის, რომელი ბაზარიც უნდა იყოს, მხოლოდ საქონლის ყიდვა გაყიდვასო. გალვანაუსკასი ამბობს: ლიტვას ეხლა იმდენი რამ სჭირდება, რომ ინგლისს არ შეუძლია დააკმაყოფილოს იგი ყველაფერით. ლიტვას სჭირდება მანუფაქტურა და სამიწათმოქმედო მანქანები, რკინის გზის მასალა, მოძრავი შემადგენლობა, ელექტრონის მანქანები და მოწყობილებანი, ნავთი, ნახშირი, ზეთი, ქონი ტანისამოსი და ყოველგვარი მანუფაქტურული საქონელი. ლიტვას სურს ყველა ამის შეძენა და იგი ამას იყიდის რომელი ერის ბაზარზედაც მას მოეხერხება.

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი, თებერვლის 17. მოსკოვი. შრომის ფრონტი. არსკი „იზვესტიაში“ სწერს: პროლეტარიატს სურს გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყოს ეკონომიურ დაშლის წინაღმდეგ. ამის მაჩვენებელია შრომის არმიის შესახებ მოსული ცნობები. ყველაზე საყურადღებოა მატარებლების შეკეთების საქმე, გზის გაწმენდა თოვლისაგან და მშიერ ცენტრისათვის სურსათის მიწოდება. პირველი მშრომელი არმია უმთავრესად ამ მიმართულებით მუშაობს. ის მდ. კამაზე ხიდს აგებს, გზებს აწყობს და სხვა. არმია, რომელიც მთელი წლის განმავლობაში იცავდა პეტერბურგს, ეხლა სხვა სამუშაოზე გადადის. წითელ არმიელები იუდენიჩის დამარცხების შემდეგ ხელში იღებენ ნიჯაბს. მეორე არმია ტრანსპორტის ფრონტზე გაიგზავნა. შრომის ყველა ანგარიში იმის მაჩვენებელია, რომ მუშებმა გადაწყვიტეს სასიკვდილო ლახვარი დასცენ დაშლასა და განადგურებას.

კიევი 16 თებერვალი. ოდესაში დენიკინელების მიერ ჩადენილი მხეცობის გამოსარკვევად შემდგარმა კომისიამ აღმოაჩინა ათასის ქვის სამტვრევებში მრავალი გვამი: თვალებ დათხრილი, თითებ დაჭრილი და თავის ქალა აძრობილი. პოლტავაცკი. 12 თებერვალს სპასსკის კომუნისტური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციული ყრილობა შედგა. მთელი სპასსკი სავსეა პატარა „იანკიებით“.

მოსკოვის საბჭოს არჩევნები. მოსკოვის საბჭოს არჩევნები დაიწყო გუშინ კომუნისტური პარტიის ლოზუნგებით და დროშებით. ყველა რაიონი კომუნისტებს ირჩევს. ზოგიერთ რაიონებში არჩეულია ქალები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ არჩევნებში. მოსკოვი. 17 თებ. სამ. ცნ. ჩრდილოეთ დვინის რაიონში ვლეცკის ჩრდილო აღმოსავლეთით 60 ვერსზე ჩვენ სოფლები ავიღეთ რკინის გზის მიმართულებით ბრძოლა გრძელდება. ონეგის მიმართულებით სადგურ პლესეცკაიას დასავლეთით 20 ვერსზე ჩვენ სოფლები ავიღეთ. ნარვის რაიონში ჩვენ 200 გამოქცეული მივიღეთ. დასავლეთ ფრონტზე მზვერავები მოქმედებენ. იამპოლის მიმართულებით ჩვენ ვაპნიარკა ავიღეთ. ტირასპოლის რაიონში ჩვენი ჯარი მდ. დნესტრის ნაპირზე გამოვიდა. ოდესის რაიონში მტრის ცალ-ცალკე ნაწილებთან ვიბრძვით. ჩვენმა ჯარმა ქ. ოვიდიოპოლი აიღო და შავი ზღვის ნაპირზე გამოვიდა, დნესტრის, ლიმანის და სივაშის რაიონში მზვერავები ჩვენ სასარგებლოთ მოქმედებენ. ნოვო-ჩერკასკის რაიონში ჩვენმა ჯარმა ბაგაევსკაია დასტოვა. ველიკოკნიაჟესკაიას და მანიჩის რაიონში მკაცრი ბრძოლაა. სადგურ ტორგოვენიასთან რკინის გზის სამხრეთით ჩვენ რამდენიმე სოფელი ავიღეთ. არხანგელსკში შიმშილობაა. მიუხედავათ მოკავშირეების დაპირებისა, რომ არხანგელსკს სურსათით უზრუნველყოფდნენ, მცხოვრებლები ისე არსად არ შიმშილობენ, როგორც აქ, ისინი თვეში ღებულობენ 10 გირვანქა ჭვავის ფქვილს. საზღვარ გარეთ: იაპონელები ჩვენს საქმეში ჩარევაზე უარს აცხადებენ. ვერხნეუდ. მკორემ იაპონიის ჯ.-უფროსებმა განაცხადეს, იაპონელები რუსეთის სამოქალაქო ომში არ ჩარევიან. იგი სთხოვს რუსის ჯარს, რომ იაპონელ ყარაულებს თავს არ დაეცეს.

პურის მცხობელთა გაფიცვის გამო ვენის მილიონი მცხოვრებნი უპუროთ შიმშილს განიცდიან. ზემო სილეზიაში დანიშნულია რკ. გზელთა, პოლიციელთა და ფოსტის მოსამსახურეთა საპროტესტო გაფიცვა მოკავშირეთა საკანტროლო კომისიის დაწესების გამო. რუსი მონარქისტები ისევ ცდილობენ შეადგინონ არმია. ვარშავის გაზეთები სწერენ: გერმანიაში სამხედრო ტყვე ჯარისკაცებს ამ არმიისთვის აგროვებენ, ოფიცრებს იუდენიჩის დარჩენილ ნაწილებისაგან იწვევენ. საბჭოთა რუსეთს ასეთი ბრბოების არ ეშინია. მოკავშირეები გერმანიის მთავრობას გერმანიის საჰაერო ფლოტის ნაშთი მოითხოვს

ახალი ამბები

ოსმალეთის პარლამენტის სალამი და დამფუძნებელი კრების პასუხი. საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს სტამბოლიდან ოსმალეთის პარლამენტისაგან შემდეგი დეპეშა მოუვიდა: „საქართველოს პარლამენტის პრეზიდიუმს. ოსმალეთის პარლამენტის პრეზიდიუმი, ოსმალეთის პარლამენტის დადგენილებით, გილოცავთ საქართველოს რესპუბლიკის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ხელს აწერს: ოსმალეთის პარლამენტის დროებითი თავმჯდომარე ილიას ეფენდი“.

დამფუძნებელმა კრებამ სტამბოლში ოსმალეთის პარლამენტს შემდეგი საპასუხო დეპეშა გაუგზავნა: „ოსმალეთის პარლამენტის ბატონ თავმჯდომარეს: საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ ამა თებერვლის 17-ის სხდომაზე დიდი სიამოვნებით მოისმინა ოსმალეთის პარლამენტის მილოცვა უმაღლეს საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის გამო და მხურვალე მადლობას უძღვნის იგი ოსმალეთის პარლამენტს. დამფუძნებელი კრება გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ოსმალეთისა და საქართველოს შორის დამყარდება კეთილ მეზობლური ურთიერთობა, რომელიც ხელს შეუწყობს ორივე მოსაზღვრე სახელმწიფოს ხალხთა კულტურულ განვითარებას“.

◆ ოსმალეთში მცხოვრებ მთიულ ხალხთა კავშირისაგან მთავრობამ შემდეგი დეპეშა მიიღო: „ოსმალეთში მცხოვრებ მთიულთა და ჩერქეზთა ხალხის სახელით გილოცავთ ანტანტის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას“.

◆ მთავარ სახელოსნოების დათვალიერება. გუშინ, 18 თებერვალს, იტალიის მისიის ტეხნიკურმა კომისიამ გზათა დეპარტამენტის დირექტორთან ერთად სახაზინო რკინის გზის მთავარ სახელოსნოები დაათვალიერა.

◆ დეპუტატ ა. ჩხენკელს გუშინ ეწვია სადარბაზოთ იტალიის მისიის წევრი მ. გაიონი, რომელიც ამავე დროს საგარეო სამინისტროს თვალსაჩინო მოხელეა. დარბაზობამ გასტანა თითქმის ერთი საათი და ჰქონდა ფრიად მეგობრული ხასიათი.

◆ ტარიფის გადიდება რკინის გზაზე. გზათა დეპარტამენტმა დამფუძნებელ კრებაში წარსადგენად დაამზადა მოხსენება და პროექტი დეკრეტისა რკინის გზებზე ტარიფის გადიდების შესახებ.

◆ ამერიკელების ქონებათა მატარებლის დამცველმა რ. ზემმა, რიცხვით 86 კაცმა, მოთხოვნილება წარუდგინა ამერიკის მისიის მთავარ შტაბს ჯამაგირების მომატების შესახებ.

◆ მთავრობის თავმჯდომარემ შემდეგი დეპეშა მიიღო: ფოთის ვაჭარ-მრეწველთა კავშირი, შეკრებილი ნადიმზე იტალიის მისიის პატივსაცემლად, მოგესალმებით თქვენ, ბატონო თავმჯდომარე და გისურვებთ კიდევ დიდხანს გვენახოთ ჩვენი ერის სათავეში. ამასთანავე იმედს გამოვსთქვამთ, რომ თქვენ ხელს შეუწყობთ ჩვენი სამშობლოს ვაჭრობა-მრეწველობის აყვავებას და ამით მოგვანიჭებთ ეროვნულ ეკონომიურ დამოუკიდებლობას. თავმჯდომარე მ. საბახტარიშვილი.

— ფოთის მოქალაქეთა მრავალრიცხოვანი კრება შეკრებილი [illegible] სახალხო განათლების [illegible] ნ. რამიშვილის მოხსენების მოსასმენათ, მიესალმება დამფუძნებელ კრებას, რესპუბლიკის მთავრობას და მის თავმჯდომარეს ქართველ ერის მხცოვან ბელადს ნ. ჟორდანიას, რომელთა ბრძნული ხელმძღვანელობით ქართველი ერი გადარჩა ფიზიკურ განადგურებას და გზა გაიკვალა ევროპის ცივილიზაციისაკენ. მთელი ერი, როგორც ერთი კაცი, თქვენთან არის. იყავით დღეგრძელი ქართველი ერის საკეთილდღეოთ. კრების თავმჯდომარე კორძაია.

◆ იტალიელთა დელეგაცია. 18 თებერვალს თფილისში ჩამოვიდა იტალიელთა დელეგაცია 35 კაცამდე, რომელსაც მოჰყვა მრავალრიცხოვანი მოხელეთა პერსონალი. ფოთში დელეგაციას დახვდა თავმჯდომარე საგარეო სამრეწველო პალატისა ბ-ნი დიმ. აფხაზი. ფოთის ვაჭარ-მრეწველებმა და ქალაქის წარმომადგენლებმა გულუხვი მასპინძლობა გაუწიეს დელეგაციას და ბანკეტი გაუმართეს. თფილისის სადგურზე დელეგაციას დაუხვდნენ, გარდა საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგის ქარცივაძისა, სავაჭრო-სამრეწველო პალატის კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი ბ-ნი ნ. გაბაშვილი, რომელიც მიესალმა დელეგაციას პალატის სახელით, თავმჯდომარე საბირჟო კომიტეტისა არ. მილოვი და სხ.

◆ ნავთი. 11 თებერვალს ბაქოში გაემგზავრა სახაზინო რკინის გზის უფროსი ინჟინერი ა. კანდელაკი, რომელიც საქართველოს რკინის გზების წარმომადგენელს ჩიჩინაძესთან ერთად მოლაპარაკებას აწარმოებს ადერბეიჯანის მთავრობასთან საქართველოსთვის ნავთის შესყიდვის შესახებ.

◆ ეპიდემიასთან საბრძოლველად. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დამფუძნებელ კრებაში წარადგინა დეკრეტის პროექტი ეპიდემიასთან საბრძოლველად 2 მილიონ მანეთის გადადების შესახებ.

◆ კერძო სასწავლებლებისათვის. სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგი შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რათა გადაიდოს 600,000 მანეთი ზოგიერთ კერძო საშუალო სასწავლებლებისთვის დახმარების აღმოსაჩენათ.

◆ მუშტაიდის კლუბში დღეს, სალამოს სრულ 5 საათზე რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე მოხსენებას გააკეთებს დამფუძნებელი კრების წევრი ვ. საყვარელიძე—„საქართველოს რესპუბლიკა და კონსტიტუცია“. შესვლა თავისუფალია.

◆ მუშათა ცენტრალური კლუბი. (პლეხანოვის ქ. № 123) დღეს, 19 თებერვალს ბელეტრისტ დავით კლდიაშვილის 30 წლის სამწერლო მოღვაწეობის აღსანიშნავად გაიმართება საღამო. ივ. გომართელი წაიკითხავს მოხსენებას იუბილიარის შემოქმედების შესახებ. წარმოდგენილი იქნება იუბილიარის პიესები: „ირინეს ბედნიერება“ 3 რეული მოქმ. და „დარისპანის გასაჭირი“ ფილიპე ზარზიჩაძისა და დარის-

კომუნისტების საქმიანობა*)

კარლ კაუცკისა

საბჭოთა რესპუბლიკის პერსპექტივები.

ლენინის მთავრობას მე 9 ტერმიდორის ბედი მოელის. მაგრამ შეიძლება სულ სხვაგვარათ დატრიალდეს საქმე. ისტორია არ მეორდება; მთავრობამ, რომელმაც დაისახა მიზნად შეუძლებელი, განუხორციელებელი საქმის გაკეთება, შეიძლება ორი გვარად გაკოტრდეს. მთავრობა შეიძლება დაამხონ იმ შემთხვევაში, თუ ის თავის დასახულ გეგმებისაგან ხელს არ აიღებს. იმ გეგმებისაგან, რომელსაც ვერ ანხორციელებს. მთავრობას შეუძლია ძალა-უფლება შეინარჩუნოს, თუ ის თანდათან თავის მოქმედების გზას შესცვლის და დასახულ პროგრამიდან ხელს აიღებს. ამ ორ შესაძლებელ შემთხვევაში არსებითად არავითარი განსხვავება არ არის. როგორც პირველ შემთხვევაში, აგრეთვე უკანასკნელში შედეგი ერთგვარია—გაკოტრება.

მმართველ პიროვნებისათვის სულ ერთი არ არის—შეინარჩუნებენ ძალა-უფლებას, თუ იქნებიან მწვერვალიდან ჩამოგდებულნი, ულმობლად მოიქცევიან საშინელი მტრის ბრჭყალებში. რობესპიერი დაეცა მე 9 ტერმიდორს, მაგრამ ყველა იაკობინელთ არ გაიზიარეს მისი ბედი. ბევრი მათგანი შეურიგდა და შეეგუა არსებულ მდგომარეობას და დიდი ადგილებიც დაიჭირა. თვით ნაპოლეონი ეკუთვნოდა ტერორისტებს და მეგობრობდა კიდეცაც რობესპიერის ძმებს. რობესპიერის დაი სწერდა: „ბონაპარტი იყო რესპუბლიკანელი. მინდა იმის თქმაც, რომ ნაპოლეონი იდგა მონტანიარების მხარეზე. მისი აღტაცება ჩემის უფროსი ძმით და მეგობრული კავშირი, რომელიც მას ჰქონდა ჩემ უმცროს ძმასთან და შეიძლება ჩემი უბედურებაც იყო მიზეზი, რომ საკონსულობის ხანაში მე დანიშნეს პენსია 3,600 ფრანკი. (ეს ციტატა მოყვანილია როზეს წიგნში: ნაპოლეონ I გვერ. 50, გამოცემა 1908 წ.).

არამც თუ ცალკე პირებს, არამედ—მთელ პარტიას შეუძლია თავისი გეგმის შეცვლა, კრიტიკულ მდგომარეობიდან უვნებლათ გამოსვლა და არა მარტო უვნებლათ, არამედ — ძალა უფლების შენარჩუნებით და პატივით.

შესაძლებელია, რომ კომუნისტური ექსპერიმენტების გაკოტრებამ რუსეთში გამოიწვიოს ბოლშევიზმის გადასხვაფერება და ამან შესაძლებელია იხსნას ბოლშევიკები, როგორც მმართველი პარტია. ისინი დაადგნენ ამ გზას. როგორც ნამდვილი რეალური პოლიტიკის მატარებლებმა, ბოლშევიკებმა შეძლეს განვითარებით თავიანთში შეგუება არსებულ მდგომარეობასთან. პირველათ ბოლშევიკები გამოდიოდენ დამფუძნებელი კრების მომხრეთ, რომელიც აგებულია პირდაპირი, საყოველთაო საარჩევნო უფლებაზე, მაგრამ როდესაც დამფუძნებელმა კრებამ მათ გზა გადაუღობა,—მოიშორეს იგი. ბოლშევიკები იყვნენ პრინციპიალურად წინაღმდეგნი სიკვდილით დასჯის და თითონვე კი დაამყარეს სისხლის რეჟიმი—სახელმწიფოს ცხოვრებაში. წინაღმდეგი იყვნენ რა დემოკრატიული პრინციპების, მათ პროლეტარიატის ზოგით მოინდომეს დემოკრატიზმის დამკვიდრება, რაც თანდათან პირად დიქტატურაზე გადავიდა. ბოლშევიკებმა გააუქმეს ნაჭრობით მუშაობა და შემდეგ თვითონვე შემოიღეს. თავიანთ ბატონობის დაწყებაში მათ დაისახეს მიზნათ ძველი სახელმწიფოებრივი ბიუროკრატიული აპარატის დამსხვრევა. ახალი აპარატი შექმნეს, სამაგიეროთ. მათ ჩაიგდეს ძალა-უფლება ჯარში დისციპლინის დარღვევით და ბოლოს თვითონ დაამკვიდრეს ეს დისციპლინა. მათ მიზნად ჰქონდათ დასახული კლასების გაუქმება და თვით შექმნეს კლასიური განსხვავებები; მათ შექმნეს პროლეტარიატზე დიდათ მდგომი კლასი, დაამდაბლეს პროლეტარიატი და აღჭურვეს იგი პრივილეგიებით, მათ შექმნეს კლასი, რომელსაც ყოველივე უპირატესობა ჰქონდა მინიჭებული და კარგი შემოსავალიც ეძლეოდა. მოისურვეს შეძლებულ გლეხების ბატონობის ბოლოს მოღება და საარჩევნო უფლებებით აღჭურვეს მხოლოდ ღარიბი გლეხობა. ახლა კვლავ მიანიჭეს შეძლებულ გლეხებს იყოლიონ თავიანთი წარმომადგენლები. მათ დაიწყეს თავიანთი მოქმედება კაპიტალის ექსპროპრიაციით, ახლა კი მზად არიან გადასცენ ამერიკის კაპიტალისტებს რუსეთის ნახევარი ბუნებრივი სიმდიდრე, მზად არიან ყოველივე მათი სურვილები შეასრულონ, ოღონდ მათი მხრით რაიმე დახმარება მოიპოვონ.

საფრანგეთის სამხედრო კორესპონდენტმა ლუდოვიკ ნოდომ ამას წინათ მოათავსა გაზეთ „ტანში“ თავისი საუბარი ლენინთან, რომელმაც, სხვათა შორის, შემდეგი, კაპიტალისათვის ხელსაყრელი, სიტყვები სთქვა: „ჩვენ მზად ვართ განვაცხადოთ, რომ ვკისრულობთ გადავიხადოთ სარგებელი ჩვენი სახელმწიფო სესხის და რადგანაც სხვა საშუალება არ მოგვეპოვება ვალის გადასახდელათ, ჩვენ მივაწვდით ხორბალს, ნავთს, და ყოველგვარ ნედლ მასალას, რომელიც ჩვენ მოგვეძებნება, როდესაც კი რუსეთში მუშაობა განახლდება სრული ტემპით.

ჩვენ მზად ვართ აგრეთვე ხელშეკრულების წესით, რომელიც უნდა დამყარდეს დიპლომატიური გზით, მივცეთ მოკავშირეთა ქვეშევრდომებს კონცესია ტყის და მადნეულობის ექსპლოატაციისათვის, მხოლოდ იმ პირობით, რომ ცნობილი იქნება ის მთავარი საფუძვლები, რომელსაც ემყარება საბჭოთა მთავრობა. ჩვენ ვიცით, რომ ინგლისის, იაპონიის და ამერიკის კაპიტალისტებს სურთ ასეთი კონცესიების მიღება“.

ინტერვიუერი არ არის დოკუმენტი, რომლის სისწორეც უდავო იქნებოდა. მაგრამ განზრახვები საბჭოთა რუსეთის, რომლის შესახებაც არის აქ ლაპარაკი, მტკიცდება სხვების მიერაც, იმ პირთა მიერ, რომლებიც ღირსნი არიან ნდობისა. ეს მოწმობს რეალურ სინამდვილის ალღოს აღებას, მაგრამ თანაც ამჟღავნებს, რომ ბოლშევიკებმა თავიანთი კომუნისტური გეგმები კარგა ხნით გადადეს, თუ რომ 80 წლით აძლევენ იჯარით რუსეთის ნაწილს კერძო კაპიტალისტებს.

კომუნიზმი, როგორც საშუალება რუსეთის პროლეტარიატის დაუყოვნებლივ განთავისუფლებისა, გაკოტრდა და დაჰკარგა თავისი არსებობა. კითხვა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, გამოაცხადებს თუ არა ლენინის მთავრობა თავის გაკოტრებას, ნიღაბ ჩამოფარებულ ფორმაში, და შეინარჩუნებს ძალა-უფლებას, თუ კონტრ-რევოლიუციონური ძალა წაღეკავს საბჭოთა მთავრობას და საქვეყნოდ გამოაცხადებს მის გაკოტრებას. ჩვენ ვირჩევთ პირველ გზას. ჩვენ ვირჩევთ, რომ ბოლშევიზმი კვლავ დადგეს მარქსისტულ ევოლიუციონიზმის ნიადაგზე, რომელიც გვასწავლის, რომ ბუნებრივ განვითარების ფაზაზე არ შეიძლება გადახტომა.

საერთაშორისო პროლეტარიატისთვის ეს გზა იქნებოდა ყველაზე უმტკივნეულო და სასარგებლო. მაგრამ სამწუხაროდ, მსოფლიო ისტორიული მსვლელობა არ ხელმძღვანელობს ჩვენი სურვილებით. შემკვიდრეობითი დანაშაული ბოლშევიზმისა მდგომარეობს იმაში, რომ დემოკრატია შესცვალეს მთავრობის დიქტატურით, რომელსაც აქვს აზრი, მხოლოდ როგორც შეუზღუდველ ძალმომრეობას, რომელიც ხორციელდება ან ერთი პიროვნების, ან და პატარა, მჭიდროთ შეკავშირებული ორგანიზაციის მიერ.

დიქტატურის საქმე ისეთივეა, როგორც ომის. და ეს დაიხსომონ ყველა იმათ, ვინც გატაცებულია რუსეთის მოდით და გერმანიაშიაც სურთ დიქტატურა დაამყარონ. ისე როგორც ადვილათ შეიძლება დაიწყო ომი, აგრეთვე ვის ხელშიაც არის სახელმწიფო ძალა-უფლება, ადვილია მისთვის დიქტატურული ძალა-უფლების ხელში ჩაგდება. მაგრამ ომი, რომელიც დაიწყო, ძნელი ჩასაქრობია ერთი ადამიანის ნება-სურვილით, ასევე დიქტატურაც. სდგება ალტერნატივა: გაუყოს სხვას ძალა-უფლება თუ კატასტროფიულ მდგომარეობამდე მიაღწიოს.

რუსეთს აუცილებლათ ესაჭიროება უცხო კაპიტალის დახმარება, მაგრამ საბჭოთა მთავრობა ესეთ დახმარებას ვერ მიიღებს, თუ ის არ მოიწვევს დამფუძნებელ კრებას და არ აღადგენს პრესის თავისუფლებას. რასაკვირველია არა იმიტომ, რომ კაპიტალისტები იდეალური დემოკრატები არიან. მეფის თვითმპყრობელობას ისინი დაუბრკოლებლივ აძლევდნენ სესხათ მილიარდებს. რევოლიუციონურ მთავრობას ისინი არ ენდობიან, ეჭვი ეპარებათ მის სიმტკიცეში, რადგანაც ბოლშევიკები არ აძლევენ უფლებას კრიტიკას, რაც მომასწავებელია იმისა, რომ არ ყავთ თავიანთ მხარეზე ხალხის უმრავლესობა.

დასთანხმდება საბჭოთა მთავრობა, პრესის თავისუფლებას ის აღიარებს და მოიწვევს დამფუძნებელ კრებას? მთელი რიგი ბოლშევიკებისა ამტკიცებენ, რომ საბჭოთა მთავრობას არ ეშინია არც პრესის თავისუფლების და არც დამფუძნებელი კრებისა.

მაშ რატომ არ იწვევენ დამფუძნებელ კრებას და არ აძლევენ პრესას თავისუფლებას? მაშ, რათ უარყოფენ ისინი ისეთ საშუალებას, რომელიც მათ ზიანს არ მოუტანს და მორალურ ძალას კი შემატებს?

„კომუნისტების პროგრამის“ წინასიტყვაობაში ბუხარინი სწერს: „ის პირობები, რომელშიაც სურთ კაუცკის და კაპანის ჩაყენონ რევოლიუცია, მდგომარეობს შემდეგში: მათ, მართალია, სწამთ, რომ რევოლიუციას შეუძლია თავისი ნება-სურვილი მიახვიოს ბურჟუაზიას, მაგრამ ამავე ბურჟუაზიას უფლება უნდა მიეცეს თავისი პირ-ვარამი გამოსთქვას პრესაში და დამფუძნებელ კრებაში. ეს მოთხოვნილება არის, პროფესიონალური ცრუ-მოჩივრების, რომელთათვისაც სულ ერთი არის, მიიღებენ მის საჩივარს, თუ არა. მისთვის საჭიროა ვისიმე წინაშე მხოლოდ საჩივარი შეიტანონ, აბსტრაქტიულათ რომ ვსთქვათ შეიძლება მათი დაკმაყოფილება ისე, რომ რევოლიუციას ზიანი არ მოუვიდეს. მაგრამ რევოლიუცია მდგომარეობს სწორეთ იმაში, რომ იგი არის სამოქალაქო ომი, სადაც ბრძოლა ხდება ზარბაზნებით და ტყვიამფრქვევლებით და უარყოფენ მტრები პოლემიკურ სიტყვათა შებმა-შეჯიბრებას. რევოლიუციას კამათი არ უყვარს, იგი მას სპობს. კონტრ-რევოლიუციაც ამასვე აკეთებს და ორივე ესენი იმსახურებენ გაკიცხვას, რადგანაც გერმანიის რეისტაგის „ნაკაზს“ არ ასრულებენ“. (გვ 23).

ყველაზე საზიზღარი სისხლიან დანაშაულობათა და აგრეთვე კონტრ-რევოლიუციის გამართლება უფრო ამაღლებს ადამიანს, ვიდრე ის, რასაც ავტორი რევოლიუციაზე ლაპარაკობს: „სოციალისტური რევოლიუცია არის ხანგრძლივი პროცესი, რომელიც იწყება კაპიტალისტების კლასთა დამხობით, და სრულდება კაპიტალისტურ მეურნეობის შრომის საზოგადოებათ გადაქცევით. ეს პროცესი ყველა ქვეყანაში გრძელდება ერთ თაობიდან მეორემდე. ამ ხნის განმავლობაში არის საჭირო პროლეტარიატის დიქტატურა, ეს ის ხანაა, როდესაც პროლეტარიატი ერთის ხელით ახშობს კაპიტალისტების კლასს და მეორე ხელით კი აწარმოებს სოციალისტურ შემოქმედებით მუშაობას“. (გვ. 18).

ამ გვარათ რევოლიუცია არ განირჩევა სამოქალაქო ომისაგან, იმ ომისაგან, სადაც არავითარ პატივებას არ აქვს ადგილი, სადაც ერთი მხარე ანადგურებს მეორეს, მაგრამ საბოლოოდ ვერ ამარცხებს მოწინააღმდეგეს, „რადგანაც ეს სასიამოვნო პროცესი გრძელდება „ერთი თაობიდან მეორემდე“. ეს სამოქალაქო ომი, რომელიც თავის აღფრთოვანებას პოულობს ტყვიის მფრქვეველებში და ყუმბარებში, უფრ

---

*) იხ. „ერთ.“ № 17, 20, 22, 24, 26, 30, 33, 37.

მანის როლებს შეასრულებს ალ. ქორქოლიანი. მოხსენების შემდეგ—მილოცვები.

◆ **სახალხო უნივერსიტეტში.** დღეს, 19 თებ. ლექციებს წაიკითხავენ: 1 განყოფილებაში (ნაძალადევში) 1) ექ. ტურიაშვილი—ჰიგიენა, 2) დ. ასათიანი—საფრანგეთის რევოლუცია; 3 განყოფილებაში (ჩუღურეთში) 1) ს. მესხი—სამშობლოს აღწერა, 2) ბარნოვი—ქართული მწერლობა; 4 განყოფილება (ორთაჭალაში) 1) ი. ირემაშვილი—ეკონომიური საკითხები, 2) ს. დოლიძისა—საქართველოს ისტორია; ცენტრში (ველიამინოვის პრ. № 123) 1) ექ. ალშიბაია—ჩვენი ქვეყნის სიმდიდრენი, 2) ი. ანთაძე—საქართ. ისტორია, 3) ს. გორგოლიანი—ქართული მწერლობის ისტორია. ლექციები დაიწყება სრულ 6 საათზე.

◆ **ხონის სამაზრო ერობის გამგეობამ** იუბილიარ დავით კლდიაშვილის სასარგებლოდ გადასდო 5,000 მანეთი. აღნიშნული თანხა რედაქციამ მიიღო დანიშნულებისამებრ გადასაცემათ.

◆ **საქართველოს ტექნიკურ საზოგადოებაში.** დღეს, 19 თებერვალს, საღამოს 6 საათ. ერევნის ქუჩა, № 11 (ყოფილი ტიუნელინის) შესდგება შეერთებული სხდომა საქართველოს ტექნიკურ საზოგადოებისა და ერობის ტექნიკურ ძალების კრებისა. წაკითხულ იქნება რამდენიმე მოხსენება.

◆ **ავჭალის აუდიტორიაში** დღეს დაიდგმის „არშინ მალალან". ფასები სახალხოა.

◆ **ქალაქის ბიბლიოთეკა-სამკითხველო** არწრუნის სახლობისა გადავიდა უწინდელ ავლაბრის კლუბის სადგომში (კახეთის ქუჩა 1).

— სამხედრო მინისტრმა მიიღო ქალ. დუშეთის სალამოს მოსამსახურეთა შორის შეგროვილი ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა სასარგებლოთ ას თერთმეტი მანეთი და ათი შაური (3 მან. 50 კ.) რისთვისაც უღრმეს მადლობას უძღვნის როგორც შემომწირველთ აგრეთვე იმ პირთ, ვინც შრომა გასწიეს შეწირულების შეგროვებაში.

კრებები

დღეს, საღ. სრულ 6 ს., დანიშნულია მეორე რაიონული კოლექტივის ძველი და ახალი შემადგენლობის გაერთიანებული სხდომა. სხდომაზე აუცილებელია როგორც ძველი, ისე ახალი კოლექტივის წევრთა დასწრება.

— დღეს, საღამოს 5 ს., ბიუროს ბინაზე (ბებუთოვის ქ 22) დანიშნულია საქ. სოც დემ მ. პ. მე 6 რაიონული კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— დღეს, საღამოს 6 ს., ბიუროს ბინაზე შესდგება საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა კრება.

— 22 თებერვალს, ქართულ კლუბში შესდგება ყოფილ ოფიცერთა დამხმარე საზოგადოების არაჩვეულებრივი კრება.

— დღეს, 19 თებერვალს, საღამოს 6 ს., ამერიკის მისიის მეხუთე სართულში (რუსთაველის პროსპ.) დანიშნულია საზოგადო კრება ქ. თფილისის ამერიკელთა მისიაში ყველა მოსამსახურეებისა. საორგანიზაციო კომისია სთხოვს ყველა ამხანაგებს კრებას დაესწრონ. განსარჩევია პროფესიონალური კავშირის დაარსება.

სენატში

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების სხდომაზე 1920 წ. 20 თებერვალს საკასაციო წესით განსახილველად დანიშნულ საქმეთა ნუსხა.

1) საქმე ალექსანდრე მეგუთამუხოვისა თფილისის ქალაქის გამგეობასთან ნინო მეგუთაძევოვის ანდერძის წერილის გაბათილების თაობაზე.

2) საქმე ვასილი, ხერალამპი და ლეონის ჩაჩიბაიების და კომპანიის სავაჭრო სახლის თფილისის სასოფლო სამეურნეო კრედიტის საზოგადოების მიმართ 7,364 მ. თაობაზე.

3) საქმე ანნა ჟუჟუნაძისა ეჭუთიძე გაზაკიძესთან ბინის განთავისუფლების თაობაზე.

4) საქმე ნიკოლოზ და გიორგი ქალანთარიშვილებისა სარქის მირზოევთან მამულის საკუთრების უფლების თაობაზე.

უცხოეთი

სპარსეთი

ინგლისელების პროგრამა. ჟურნალ „ნირ ისტ"-ში (28 ნოემბ.) მოთავსებულია სტატია, რომელიც რამდენიმეთ ნათელს ჰფენს იმ პროგრამას, რასაც მიზნათ ისახავს ინგლისის პოლიტიკა სპარსეთში. რუსეთის დასუსტებამ ერთგვარი შევიწროება შექმნა სპარსეთის პოლიტიკურ მდგომარეობისა და მისი სახელმწიფოებრივ საზღვრებისათვის: ჩრდილო-დასავლეთიდან სპარსეთს ემუქრება ოსმალეთი, აღმოსავლეთიდან ავღანისტანი; უკანასკნელს ადვილათ შეუძლია იხეიროს შემთხვევა და თავს დაესხას სპარსეთს. ინგლისს დღევანდელ პირობებში არ შეუძლია არ ესმოდეს, რომ მისი და სპარსეთის პოლიტიკური ინტერესები აღმოსავლეთში ერთდებიან; მეორე მხრივ სპარსეთი იძულებულია მიმართოს რომელიმე სახელმწიფოს დახმარებისათვის. ასეთი სახელმწიფო დღეს მხოლოთ ინგლისი არის. ინგლის-სპარსეთის ინტერესების თანხმობა ფასს ჰმატებს იმ ხელშეკრულებას, რომელიც ამ ორ სახელმწიფოთა შორის დაიდო 9 აგვისტოს. ხელშეკრულების ერთი ერთი მუხლი მოითხოვს, რათა ინგლისმა ხელი შეუწყოს რკინის გზების გამრავლებას სპარსეთში; ამასვე მოითხოვდა ინგლისის სტრატეგიული მიზნები და ინგლისმაც უკვე ბევრი გაიყვანა ასეთი გზები. განზრახულია გაყვანილ იქნეს აგრეთვე სხვა გზებიც, რომელთაც ერთ მხრივ სტრატეგიული მნიშვნელობა ექნება თვით სპარსეთისათვის, მეორე მხრივ ხელს შეუწყობს სპარსეთის ვაჭრობა-მრეწველობის აყვავებას. ძველად რუსეთთან დადებულ ერთ-ერთ ხელშეკრულების თანახმად, სპარსეთს არ ჰქონდა უფლება ფლოტი ჰყოლოდა კასპიის ზღვაზე. დღეს სპარსეთს ეს უფლება მინიჭებული აქვს; სპარსეთი აგებს მცირე რიცხოვან სამხედრო ფლოტს და მთავარ ყურადღებას მიაქცევს სავაჭრო ფლოტის გამრავლებას. მთავარი ნავთსადგური სპარსეთისათვის იქნება ენზელი კასპიის ზღვაზე. შემდეგ გაზეთი ეხება სპარსეთის ფინანსიურ მდგომარეობას და ამბობს: სპარსეთი არაა ღარიბი სახელმწიფო. თუ მისი მდგომარეობა დღეს არ არის სასურველი,—ეს იმით აიხსნება, რომ არ ვარგა ადმინისტრაცია და გადასახადების სისტემა არ სდგას სათანადო სიმაღლეზე: ოფიციალური ცნობების მიხედვით 1916 წ. სახელმწიფო შემოსავალი 25 მილ. თუმანი უნდა ყოფილიყო; მაგრამ აქედან ადმინისტრაციის უვარგისობის გამო მხოლოთ 6 მილ. თუმანი შემოვიდა ხაზინაში. თუ კი მოეწესრიგდა ცოტათი მაინც გადასახადების სისტემა,—სახელმწიფო შემოსავალი 100 მილ. თუმნამდე გაიზრდება. ასეთ პირობებში სპარსეთს არ დასჭირდება უცხოეთის სესხის აღება და ყოველგვარ რეფორმებს საკუთარის ძალებით გაატარებს. რკინის გზების გაყვანის გარდა, ინგლისს განზრახული აქვს მოაწყოს ავტომობილებით მიმოსვლა; ასეთი მიმოსვლა დღეს უკვე არსებობს თეირან-ენზელის შორის. გაზეთი ბოლოს აღნიშნავს, რომ რკ. გზების გაყვანის საკითხს ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს სპარსეთისათვის დღევანდელ პირობებში. ამიტომ 9 აგვისტოს ხელშეკრულობას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან სპარსეთისათვის, თუ, გაზეთების აზრით, მცხოვრებლები ამას სიმპატიით შეხვდებიან.

ამერიკა.

ბოლშევიზმი ამერიკაში. თითქმის ყოველ დღე ხდება ამერიკაში კომუნისტების დაპატიმრება; დაპატიმრებულთა შორის მხოლოდ 10 პროც. იქნება ამერიკის მოქალაქე, დანარჩენი სულ უცხოელები არიან. გაზ. „დეილი მეილ"-ს კორესპონდენტს საუბარი ჰქონდა ამის შესახებ ამერიკის იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელთან, რომელმაც კომუნისტების გეგმების შესახებ შემდეგი განაცხადა: რევოლუციონერებს განზრახვა აქვთ ძირს დასცენ მთელი ქვეყნის ფინანსიური წეს-წყობილება; ამ მიზნით რუსეთის საბჭოთა მთავრობის დახმარებით კომუნისტებს განზრახული აქვთ ყველა სახელმწიფოებში გამოსცენ ყალბი საბანკო ბილეთები. ეს ბილეთები, ყალბი ფულები, უმთავრეს ნაწილათ მოსკოვში იბეჭდება. ამერიკაში მათ უნდა დაებანდებინათ ერთი მილიარდი დოლარი. დამტკიცდა, რომ ბოლშევიკების პროპაგანდაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი შეერთებულ შტატებში მარტენსი. ლანსინგმა გამოაქვეყნა ვრცელი მოხსენებითი ბარათი, რომელშიაც მოითხოვდა არ მოეხსნათ ბლოკადა რუსეთზე და ამით ხელი შეეშალათ ტროცკისა და ლენინის პროპაგანდისათვის, რომელიც დემოკრატიულ სახელმწიფოების წინააღმდეგაა მიმართული.

უნგრეთი.

რეპრესიები და მოკავშირეთა მისიები. ბრიტანეთის, საფრანგეთის და იტალიის მისიებმა ბუდაპეშტში შუამდგომლობა აღძრეს უმაღლესი საბჭოს წინაშე, რათა ის ჩაერიოს უნგრეთის საქმეებში და შეუმსუბუქოს მდგომარეობა იმ კომუნისტებს, რომლებსაც სიკვდილით დასჯა აქვთ მისჯილი. წინათაც მოიმართა ასეთივე თხოვნით უმაღლეს საბჭოს ინგლისის გენერალმა, მაგრამ შუამდგომლობა უშედეგოთ დარჩა და დასჯილი იქნენ ისეთი პირები, რომელთა დანაშაულობაც საეჭვოთ ითვლებოდა; ასეთი იყო მაგალითად კორვინ კლეინი, რომელიც ბელაკუნის მთავრობის დროს ზომიერ ფრთას ეკუთვნოდა. უმაღლესმა საბჭომ მოუწოდა უნგრეთის მთავრობას შეუმსუბუქოს ხვედრი დაპატიმრებულ კომუნისტებს.

ინგლისი

რუსი მუშები ინგლისში. გაზ. „მატენ"-ს ლონდონიდან ატყობინებენ, რომ რუს მუშების წარმომადგენლებს განზრახვა აქვთ ჩამოიარონ ინგლისის ყველა საფაბრიკო-საქარხნო რაიონები. ისინი მიზნად ისახავენ პირველ წყაროებიდან გააცნონ ინგლისის საზოგადოებას და კერძოთ—მუშათა კლასს ბოლშევიკების მოქმედებას რუსეთში და იმ დამღუპველ შედეგებს, რაც ამ მოქმედებას მოჰყვა. ამ საქმის ინიციატორები არიან: ვოტკინსკის ლითონზე მომუშავეთა კავშირის თავმჯდომარე — ფეოფილოვი, ურალის რაიონის ლითონზე მომუშავეთა კავშირის წევრი—ანდრეიმოვი, იჟევსკის პროფკ. კავშირის აღმ. კომიტეტის წევრი—მენშიკოვი და პერმის ლითონზე მომუშავეთა გამგეობის წევრი—სტრუმილოვი.

აზერბაიჯანი.

მუშების და გლეხების რეზოლუცია. 10 თებერვალს სოფ. ბინაგადში შესდგა გლეხების და მუშების კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნა მოხსენება მომენტის შესახებ. გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლუცია: „ჩვენ, სოფელ ბინაგადის გლეხებმა და სამრეწველო რაიონის მუშებმა, განვიხილეთ რა საკითხი ზოგიერთ უპასუხისმგებლო პირების გამოსვლის შესახებ, რომლებიც ჩვენი სახელით ლაპარაკობენ,—დავადგინეთ: პროტესტი განვაცხადოთ ასეთი პირების წინააღმდეგ. ჩვენ ვაცხადებთ, რომ მედგრად და ენერგიულად შევებრძოლებით ყველა ნაბიჯებს, რომლებიც სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ იქნება მიმართული. მოვითხოვთ მთავრობისაგან, რათა მან მიიღოს გაბედული ზომები უპასუხისმგებლო პირების წინააღმდეგ".

ოსმალეთი

ნაციონალური ძალები და ბოლშევიკები. გაზეთი „ტინი" მეთაურ წერილში ეხება რა რუსეთის ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს, ურჩევს ანტანტას შეუკავშირდეს ოსმალეთის ნაციონალისტებს და გამოიყენოს იგი ბოლშევიკების წინააღმდეგ. ამავე საკითხს ეხება გაზეთი „ოხერეუთი", რომელიც მიუთითებს მოკავშირეებს იმ საფრთხეზე, რომელსაც უმზადებენ ბოლშევიკები აღმოსავლეთს. გაზეთი მოითხოვს დაუყონებლივ გადასწყვიტოს ანტანტამ ოსმალეთის საკითხი და ამით ხელი შეუშალოს ბოლშევიკებს, რომლებიც აპირობენ ოსმალეთთან შეერთებას. ბოლშევიკები დიდ საფრთხეს უმზადებენ ირანს და ინდოეთს, საჭიროა ადგილობრივ მუსულმანებს მიეცეთ ფართო უფლება ისარგებლონ ცხოვრების ყოველივე სიკეთით. გაზეთი „იტი-ბაგი" მეთაურ წერილში ეხება რა ოსმალეთის და კერძოთ სტამბოლის საკითხს, სწერს: „ნამდვილი ოსმალნი იყვნენ და არიან ჩვენი მეგობრები. ჩვენ ბრალი არ უნდა დავსდოთ ოსმალებს იმ მოქმედებაში, რომელსაც იტიხადისტები ეწევიან და რაც დაღუპავს [illegible] ოსმალეთს. ოსმალეთის და რუსეთის ხალხი არ არის პასუხისმგებელი ავანტიურისტ იტიხადისტების და ბოლშევიკების მოქმედებაზე. ჩვენი ინტერესები მოითხოვენ ოსმალებს დაუტოვოთ სტამბოლი. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ავამხედრებთ ჩვენს წინააღმდეგ, როგორც მუსულმანობას, აგრეთვე ევროპას და ამერიკას.

სამღვდელოების და ეკლესიის საკითხი

ეს კითხვა მეტათ მწვავე ხასიათს ღებულობს ამ ბოლო დროს სოფლად და სამწუხაროდ, საზოგადოებრივი აზრი არ ისმის, პრესა სრულიად გაჩუმებულია, არ არკვევს ამ კითხვას ღირსის მიხედვით.

დიდმა რევოლუციამ ყველა სფეროში შეიტანა თავისი მადლიანი ფერი და რაც უვარგისი და დრომოჭმული იყო, სულ მთლად [illegible] და [illegible], მხოლოდ ეკლესიის კითხვას ვერაფერი ეშველა და უყურადღებოთ დასტოვა.

რევოლუციის მესვეურები დაკმაყოფილდნენ იმით, რომ ეკლესია ჩამოაშორეს სახელმწიფოსა და ღვთისმსახურება [illegible] არ შეიმეცნა. სამღვდელოებას სრულიად არ აწუხებს ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან. სამღვდელოება თავის იმედებს ამყარებს უმეცარ ხალხზედ და ის ფიქრობს [illegible] ახალი პატრონობის შესანარჩუნებლად ცრუმორწმუნეობის განმტკიცებით. ჩვენი კლერიკალები ქადაგებენ, რომ ხალხში თანდათან იხპობა ტაძრების ზიდვა, ქილები, სანთლებს კურთხევა და სხვა, რაც მათ შემოსავალ წყაროს აკლდება. ისინი ირაზმებიან ამ შერყეული ცრუმორწმუნეობის განსამტკიცებლათ.

სამღვდელოება სარგებლობს დღევანდელი მდგომარეობით და დღითი დღე უმატებს ფასს ჯვარისწერას, წინ გასამძღოლს, ნათლობას და სხვა. ამასთანავე 30 კრებს ღრამის სახით პურს. მაგრამ, მოგეხსენებათ, ზოგი ქვრივ-მარტოხელათ და არსებულმა სიძვირემ და [illegible] გამოიწვია გლეხკაცობაში დიდი უკმაყოფილება, რაც ჩვეულებრივ ხერხიან ხასიათს ღებულობს. ბოიკოტს უცხადებენ მღვდლებს.

მაგალითად, წარსულ ზამთარს, რომლის [illegible] ანადგურებდა და ბევრ ოჯახიდან ორ-სამი მკვდარი გამქრალიყო ერთად, იმის ნაცვლად, რომ დაღუპულ ოჯახისათვის შეღავათი მიეცათ, მღვდლებმა ფასი აუწიეს წინ გასამძღოლს. ამან გამოიწვია ის, რომ ქვიზუში ბოიკოტი გამოუცხადეს მღვდლებს და დაიწყეს უმღვდლოთ დამარხვა. ეს მდგომარეობა კარგახანს გაგრძელდა, სანამ მღვდლებმა არ მოიხარეს ქედი. ასევე მოხდა თელავის მაზრაში სოფ. ახალსოფელში. აქ ხალხი ვერ შეუთანხმდა მღვდლებს და დაიწყეს დამარხვა უმღვდლოთ. ამანაც კარგახანს გასტანა, სანამ სხვა მღვდელი მოვიდოდა და ხალხის მიერ დაწესებულ ფასებზე დასთანხმდებოდა.

ამის წინად ამავე მაზრის სოფლებში—კურდღელაურმა, შილდურმა და ვარდისუბნელმა თავიანთ თემის საშუალებით მიიწვიეს მღვდლები და უნდოდათ შეთანხმებოდნენ ფასებში. მაგალითად, მღვდლები ჯვარისწერის ითხოვდნენ 600 მანეთს, სოფელი აძლევდა 300 მანეთს და სხვა. შეთანხმება ვერ მოხდა და გადასწყვიტეს ეკლესიების დაკეტვა, სანამ თავიანთი გადაწყვეტილების თანახმად [illegible] მღვდლებს, იყო აქაც უმღვდლოთ დამარხვის შემთხვევები. ხალხს უფრო უძნელდება ჯვარის წერის და ნათლობის საქმე. დამარხვაზე [illegible] ამბობენ: მთავრობამ არ დაგვსაჯოს უმღვდლოთ დამარხვის გულისათვის. საჭიროა პრესამ გაურკვიოს ხალხს ეკლესიის გამოყოფის და რწმენის თავისუფლების მნიშვნელობა. საჭიროა აგრეთვე დამფუძნებელმა კრებამ დააჩქაროს ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის საქმე. აგრეთვე საჭიროა გამოშვება იმ დებულებებისა, რომლებიც საშუალებას მისცემს ერობებს, რათა შეასრულონ სამოქალაქო წესით ქორწინებები.

[illegible] მკითხველი [illegible] ისე, როგორც თავისი სინიდისი უკარნახებს.

ხოხა მაჭავარიანი.

ერობათა ცხოვრება

გურიის ერობაში.

ოზურგეთში არსებული 100 საწოლიანი სამხედრო ლაზარეთი სრულიად, გარდა კროვატებისა, გადაეცა სამაზრო ერობას, რომელმაც უკვე მიიღო ის ავეჯეულობა. ეს ლაზარეთი შესდგება ორი—ტერაპევტიული და ხირურგიული—განყოფილებისაგან, ის მეტათ მდიდარია თავისი ქონებით და ხირურგიული მოწყობილობა-ინსტრუმენტებით. ერობამ თავის თავზე მიიღო ვალდებულება საჭიროების დროს მოათავსოს ამ ლაზარეთში ჯარისკაცები საერთო წესით.

— გამგეობამ დააკმაყოფილა სურების თემის ს. ლაიდეგ 6-ის შუამდგომლობა მის სურების თემიდან გამოყოფისა და ცალკე თემათ დაარსების შესახებ დიდღივანის თემის სახელწოდებით. ხმოსანთა შემადგენლობა უნდა განისაზღვროს 20 ხმოსნით, რომელთა არჩევნები დანიშნულია 15 თებერვალს.

— დაკმაყოფილდა აგრეთვე დეჭუზის თემის სოფლების: გალმა-გამოღმა მელექედურის, ზიხვარის, ოზურგეთის და ლიხაურის თემის—ს. ცქინლის მცხოვრებთა შუამდგომლობა და ეს სოფლები გამოეყო თავ-თავიანთ თემებს და მათგან დაარსდა ცალკე თემი, რომლის გამგეობა მოთავსებული უნდა იქნეს ქ. ოზურგეთში. ხმოსანთა რიცხვი განსაზღვრულია 20 ით, არჩევნები დანიშნულია 15 თებერვალს. ეს სოფლები ირგვლივ აკრავს ქ. ოზურგეთს, შესდგება სულ 549 კომლისაგან. სახელათ ამ თემს გამგეობის დადგენილების თანახმად დაერქვა „ოზურგეთის თემი".

ხუნან.

ლეჩხუმის სამაზრო ერობის საყურადღებოთ.

როგორც გაზეთები გვაუწყებენ რესპუბლიკის ტყეების ინსპექტორს განზრახვა ჰქონია მოაწყოს რესპუბლიკაში ტყისმჭრელთა სამუშაოები. ამ მიზნით ბ. იაშვილი მოუწოდებს საქართველოს ყველა სამაზრო ერობათა თავმჯდომარეებს, რომ მათ აცნობონ მას: რა სამუშაოები არის მაზრებში, ან რამდენი მუშა ხელის მოთხოვნილება იქნება.

მართალია, ასეთი სამუშაოების აღმოჩენას დღეს ყველა მაზრები შეეცდება, მაგრამ სიმართლისათვის თქმაა ეს შემთხვევით უფრო იხარჯებოდეს იმ კუთხეში, სადაც ისეთი სამუშაოები მრავალია, რომელსაც საზოგადო ხასიათი აქვს. ასეთ მხარეთ კი ჩაითვლება ლეჩხუმის მაზრა, რომლის მცხოვრებლები დიდ გაჭირვებაში არიან უგზოობის გამო, რისი გაკეთებაც საზოგადოებამ მთავრობის დაუხმარებლათ დღემდე ვერ შესძლო.

ლეჩხუმის მაზრა ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ორ ნაწილათ: ერთი—რიონის მხარეთა და მისი მარჯვენა შენაკადის, მეორე—ცხენის-წყლის მხარე. პირველ ნაწილის მცხოვრებლები უზრუნველყოფილია შარა-გზით, რომელიც მისდევს—რიონს ქუთაისიდან რაჭამდე და კიდევ შორს კავკასიონამდე. რაც შეეხება ლეჩხუმის მცხოვრებთა იმ ნაწილს, რომელნიც მოსახლეობენ ცხენის-წყლის პირათ, სრულიად გზა არა აქვთ. მცხოვრებლებს არა აქვთ საშუალება ისარგებლონ რიონის შარა-გზით (ვინაიდან მაღალი მთების გადმოსავლელი) და უქონიათ დამოკიდებულება ქუთაისთან. მათ უფრო ეხერხებათ დამოკიდებულება ხონთან, ვინაიდან მთები ხელს არ უშლის და არის ხონამდე საქვეითო გზა. შარა-გზა არ არის, ურემი ვერ მოძრაობს და მცხოვრებლები მოკლებული არიან საშუალებას თავიანთი ნაწარმოები გაიტანონ ბაზარზე ან საჭირო საგნები გადაცვალონ. [illegible] ჩენილია, რაც აიხსნება [illegible] უგზოობის გამო.

ჩვენის აზრით [illegible] ერობამ უნდა მიაქციოს დაუყოვნებლივ მთავარი ყურადღება გზას. ვ. ჩ.

პროფესიონალურ კავშირებში

ფარმაცევტთა პროფ. კავშირებში.

8 თებერვალს შესდგა თფილისის აფთიაქებში მომუშავეთა პროფ. კავშირის საზოგადო კრება. კრების გახსნისას კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ აცნობა წევრებს კავშირის წევრის ამხ. რამიშვილის სიკვდილი, რომლის ხსოვნასაც კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა. ამის შემდეგ კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ჭულუხაშვილი.

დღის წესრიგში დასმული იყო გამგეობის არჩევნები. კრებამ მოისმინა გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენებები გამგეობის მოქმედების შესახებ და გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია: მოისმინა რა მოხსენებები გამგეობისა და სარევიზიო კომისიის გამგეობის მეექვსე შემადგენლობის მოქმედების შესახებ, საზოგადო კრება მადლობას უცხადებს გამგეობას თავის მოქმედების შესახებ და გადადის მორიგ საკითხზე.

ხსენებულ რეზოლუციის მიღების შემდეგ შესდგა გამგეობის მეშვიდე შემადგენლობის არჩევნები ფარული კენჭის ყრით. 8 თებერვალს კრება დასრულდა ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე.

15 თებერვალს ქ. ბაქრაძის თავმჯდომარეობით შემდგარმა აფთიაქში მომუშავეთა პროფ. კავშირის წევრთა საზოგადო კრებამ მოისმინა 8 თებერვალს შემდგარ არჩევნების შედეგები. გამოირკვა, რომ კრებას აურჩევია 9 კაცი, მხოლოდ 3 კანდიდატს მიუღიათ 33 ხმა თითოს.

ფარმაცევტების წინადადებით ხსენებულ 3 კანდიდატს ხელმეორეთ მისცეს ხმა. ამ რიგათ, გამგეობაში არჩეულ იქნა 11 წევრი და 5 კანდიდატი. სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნა 3 წევრი და ორი კანდიდატი.

ამის შემდეგ საზოგადო კრებამ დაადგინა: კავშირის [illegible] წევრს ჯუღელს შეენახოს ჯამაგირი კასის ხარჯზე იმ დრომდე, სანამ ამის შესძლებს კასა. მიენდოს გამგეობის ახალ შემადგენლობას, თავის შეხედულობით შეწყვიტოს ჯუღელის ჯამაგირის მიცემა, თუ კავშირის კასა ვერ შესძლებს აიტანოს ეს ხარჯი.

რკინის გზაზე

გაზეთების გავრცელების საქმე

ქუთაისის სადგურის წიგნის შკაფის და კანტორა „ერთობის" გამგე ან. კალანდაძემ მოხსენება წარუდგინა ქუთაისის რკინის გზის დირექტორს, სადაც სწერს: „სადგურის წიგნის შკაფის და ქალაქში კანტორა „ერთობის"-სათვის მე მომდის თფილისის გაზეთები დილით 8 საათზე ჩქარი მატარებლით. ამ ბოლო დროს რკინის სადგურზე გადმოტვირთვის [illegible] გაზეთები ზოგჯერ ხან თითო შეკვრა, (ცალი) ხან ორი და ხან მთლათ რიონში არ იქნება ქუთაისის მატარებელზე და მიყვება ბათუმის მატარებელს; ამნაირათ, იგი ხან სამტრედიაში, ხან ბათუმში და ზოგჯერ კი ფოთშიც იმყოფება ხოლმე თავს ქუთაისის გაზეთები, საიდანაც მათ მიბრუნებენ მეორე ან მესამე დღეს. ერთი ამის დამამტკიცებელი ფაქტი მოხდა 1 თებერვალს: კვირას ქუთაისის გაზეთები წაიღეს ბათუმში და იქიდან კი აქეთ წარმოდგენილ დოკუმენტით № 5270 ით მეორე დღეს, ორშაბათს მიიღეს. ამჟამად ხდება აგრეთვე, რომ ჩემს გაზეთებს სტოვებენ სადგ. რიონში, არ გზავნიან პირველი ჩქარი მატარებლით, არამედ—მეორე ან მესამე—ფოთის ან ბათუმის მატარებლებს გამოაყოლებენ. ამრიგათ, რიონის სადგურზე დაგვიანებით ქუთაისის გაზეთების მიღება არა თუ საათობით, დღეობით გვიანდება, ყოველთვის მოდის; ეს გარემოება კი დიდ ზიანს აყენებს მეტად საჭირო სიტყვის გავრცელების საქმეს საქართველოში".

„სტუდენტთა დღის" მომწყობ ხალხის კომისიას.

„სტუდენტთა დღის" საორგანიზაციო კომიტეტი დაბეჯითებით სთხოვს იმ პროვინციების კომიტეტებს, რომელთაც თავის დაბა ქალაქში მოაწყეს 26 იანვრის დღესასწაული და დღემდე ანგარიშები არ გამოუგზავნიათ, დაიჩქარონ მათი გამოგზავნა, რათა შესაძლებელი გახდეს საბოლოოდ ანგარიშების დაჯამება და მათი დაბეჭდვა გაზეთებში.

დღემდე ანგარიშები მოგვაწოდეს: სიღნაღიდან, გორიდან, ახალსენაკიდან, თიანეთიდან, ხაშურიდან, ბორჯომიდან, შორაპნიდან, ცაგერიდან, ფოთიდან, ლანჩხუთიდან და ონიდან.

[illegible] მიგვიღია, [illegible]

მეტ ზიანს მოუტანს კაცობრიობას, ვიდრე ეს ოცდა ათი წლის ომმა მოგვცა. სამოქალაქო ომი მცხოვრებთ ჰყოფს ორ ნაწილათ, იგი ბარბაროსობას აღვივებს ხალხში და ანადგურებს წარმოების საარსებო წყაროს. აი ის გზა, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს „ცხოვრების უმაღლეს ფორმებამდე", ესე იგი, სოციალიზმამდე. ეს ღრმა შეგნება სოციალური რევოლუციისა, რასაკვირველია, „ეკუთვნის არა „პროფესიონალ ცრუდ მომხრეებს", არამედ —პროფესიით რევოლუციონერს, რომლისათვისაც ამბოხება და რევოლუცია ერთნაირი საგნებია, რომელსაც უპირობოთ მიაჩნია ცხოვრება, რომლისაც რევოლუცია ხდება დემოკრატიის ფორმებში და არა სამოქალაქო ომით.

მაგრამ ერთი რამ ფაქტია. არსებობს ორი შესაძლებლობა: ან დემოკრატია, ან სამოქალაქო ომი. ვინც სპობს დემოკრატიას, ის სამოქალაქო ომს უნდა იწყებდეს. დიქტატურას შეუძლია არც დინოს თავიდან სამოქალაქო ომი იქ, სადაც საქმე აქვს მას სასოწარკვეთილ, აპათიურ მცხოვრებლებთან, რომელიც სრულიად უვარგისია, როგორც მასალა სოციალისტურ საზოგადოებისათვის. რადგანაც არსებობს მხოლოდ ასეთი დილემა: დემოკრატია და სამოქალაქო ომი, აქედან ის გამოდის, რომ იქ, სადაც შეუძლებელია სოციალიზმის დამყარება დემოკრატიულ საფუძველზე და სადაც მცხოვრებთა უმრავლესობა უარყოფს ამ სოციალიზმს,—იქ არ არის დამდგარი დრო სოციალიზმისათვის. ბოლშევიზმს ჰგონია, რომ უმცირესობას ყველგან მოეხერხება თავს მოახვიოს უმრავლესობას სოციალიზმი. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ დიქტატურის გზით და სამოქალაქო ომის საშუალებით. ბოლშევიკები გრძნობენ, რომ ისინი უმცირესობას წარმოადგენენ და ეს არის მიზეზი, რომ დემოკრატიის გზას უარყოფენ, თუმცა აცხადებენ, „რომ რევოლუციას არაფერი დაუშავდებოდა". ბოლშევიკებს რომ ეგრძნოთ, უმრავლესობა მათ მხარეზეა, მათ არ დასჭირდებოდათ დემოკრატიის უარყოფა მაშინაც კი, როცა ისინი რევოლუციონურ ბრძოლათ ხელებიან მხოლოდ ზარბაზნების და ტყვიის მფრქვევლების მუშაობას. მათ ეს ბრძოლა გაუადვილდებოდათ რომ შესძლებოდათ ვისიმე დაყრდნობა, როგორც 1793 წ. პარიზის რევოლუციონერებს მხარს უმაგრებდა რევოლუციონური კონვენტი. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ასეთი კონვენტი ვერ გაუწევდა ბოლშევიკებს დახმარებას. რადგანაც ბოლშევიკებმა ჩაიგდეს ძალა უფლება ხელში, მათ დიდი გავლენა ჰქონდათ მასსაზე, მუშებზე, გლეხებზე და ჯარისკაცებზე. და სწორედ ამ დროსაც კი არ შეეძლოთ მათ საყოველთაო საარჩევნო უფლებისათვის მიემართნათ. იმის მაგიერათ, რომ დაეთხოვნათ დამფუძნებელი კრება და ხელახლად დაენიშნათ არჩევნები, მათ ის გარეკეს. ამ დღიდან ბოლშევიკების საწინააღმდეგო ოპოზიცია დღითი დღე იზრდებოდა, ამას მოწმობს ის, რომ ბოლშევიკების მომხრენი ვერ ითმენდნენ შეხედვითი სიტყვის თავისუფლებას, სდევნიდნენ ბოლშევიკები იმათაც კი, ვინც საბჭოებში იყვნენ და ბოლშევიკების მოღვაწეობას კრიტიკას უწევდნენ: გაჩნდა ტერორი. ასეთ შემთხვევაში შეუძლებელი იყო დიქტატურისაგან ხელის აღება და დემოკრატიული წყობილების დამყარება. ყოველივე ასეთი ცდა უნაყოფო გამოდგა. რომ შეენარჩუნებინათ ბოლშევიკებს ძალა-უფლება, მათ ყოველივე დაუთმეს ბიუროკრატიას, მილიტარიზმს, კაპიტალიზმს მხოლოდ დემოკრატიისათვის დათმობა მიაჩნიათ მათ თვითმკვლელობათ, რომელიც ერთად ერთი საშუალებაა არის მოსპოს სამოქალაქო ომი და წაიყვანოს რუსეთი ეკონომიური აღორძინების და განვითარების გზით.

მხოლოდ დემოკრატიას შეუძლია იხსნას რუსეთი დაღუპვისაგან. დემოკრატიას შეუძლია ბოლშევიზმის დაღუპვა. შედეგის გათვალისწინება ადვილია. ის შეიძლება არ იყოს მე 9 ტერმიდორი, მაგრამ მე მეშინიან, რომ იგი შეიძლება დიდათ არ განსხვავდებოდეს მე-9 ტერმიდორისაგან.

(შემდეგი იქნება).

მოქმედებს მაშინ, როდესაც ყველა კუთხიდან მოგვდის ცნობები. მისამართი: სახელმწიფო უნივერსიტეტი, სტუდ. ინაშვილს, ან თავისუფლების მოედანი, სტუდენტთა სასადილო, სტუდენტ გედევან სვანიძეს.

საორგანიზაციო კომისია.

ს.-დ. პარტიაში

ავლაბრის რაიონი. 12 თებერვალს შეიკრიბა ს. ს.-დ. მ. პარტიის [illegible] რაიონის კოლექტივის წევრთა კრება, დაესწრო კოლექტივის მთელი შემადგენლობა. განსახილველი საკითხები: 1) რეგლამენტი, 2) მოხსენება [illegible] არსებული იარაღის კრების შესახებ, 3) საგამომძიებლო კომისიის მიერ შეკრებილი მასალა, 4) სანოვაგეები კავკასიის სანოვაგეები, 5) [illegible] სამეურნეო მიმდინარეობა, 6) [illegible] კომისია, 7) ავლაბრის ყოფილი კლუბის საკითხი, 8) სომხური სექცია.

რეგლამენტის შესახებ გადაწყდა: კოლექტივმა იხელმძღვანელოს ძველი რეგლამენტით, მხოლოდ შეიტანოს შემდეგი შესწორება: სხდომა იხსნება სწორედ 5 საათზე, 15 წუთის ლოდინის შემდეგ თუ კოლ. წევრნი არ გამოცხადდნენ, კრება არ შედგება.

სამხედრო ხასიათთან შედარებით ერთი მეორის დათხოვნის დროს რაც საგამომძიებლო მასალა არსებობდეს პროფესიონალურ კავშირის კრების მიერ განიხილეს შემდეგ, გადაეცეს პროფკავშირთა ცენტრს.

ამიერკავკასიის სავაჭრო იარაღის რეორგანიზაციის შესახებ ამხ. ვაშაკიძე, რომელსაც დავალებული ჰქონდა ეს საქმე—კოლექტივს აცნობებს, რომ 13 თებერვალს დანიშნულია იარაღის რეორგანიზაცია, კოლექტივმა საჭიროდ დაინახა გაგზავნოს თავის წარმომადგენელი კრებაზე დასაწრებლად და მოხსენების გასაკეთებლად აირჩია ამხ. ანდ. ვაშაკიძე და ილ. ბაქრაძე.

„კავკასიის“ სანოვაგეების შესახებ მოხსენება მოისმინა კოლექტივმა, საჭიროდ სცნო, რომ ბავშვთა თავშესაფარი არსებული თბილისში მყოფ და ორგანიზაციების წარმომადგენლების კრებაზე კოლექტივმა გაგზავნოს თავისი წარმომადგენლები და უფლება მისცეს დახმარება რაიონის გამგეობას, რომელიც უნდა აირჩეს 13 თებერვლის სხდომაზე.

არჩევნის სახელობის ბიბლიოთეკას, რომელიც დღეს ქალაქის გამგეობის ხარჯზე ინახება,—დაეთმოს უნივერსიტეტის შენობაში ორი ოთახი.

საფინანსო კომისიას მიეცეს თბილისის კომიტეტთან შემოწირულების შეხვედრამდე ახალი ორდერი, თუ ეს საჭირო იქნება ახლო მომავალში.

ავლაბრის სახალხო კლუბის არსებობის წინააღმდეგ დღეს შეიქმნა ამის, ამიტომ კოლექტივმა აირჩია ამის შესახებ საორგანიზაციო კომისია, რომელსაც ევალება წესდების გამომუშავება, წევრების ახლად ჩაწერა და ამ კლუბის ქონება რომ არ დაიკარგოს, მისი თვალყურის დევნება.

სომხურ სექციაში კოლექტივმა აირჩია გ. გულბენკიანი და გარეგინ ბაბაიანი.

ვერხვი.

თბილისი. 29 იანვარს თბილისის საქალაქო საბჭოში შედგა ამავე საქალაქო საბჭოს სოც.-დემ. პარტიის წევრთა კრება. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. სიმონ [illegible]. დღის წესრიგში იყო: 1) მოხსენება მომენტზე, 2) გუბერნიების შესახებ, 3) 8 საათის სამუშაო დღე, 4) 60 პროცენტიანი შემატება, 5) პარტიაში ახალი წევრების მიღება. მომენტზე მოხსენება გააკეთა დამფუძნებელი კრების წევრმა ამხ. [illegible] წულაიამ, რომელმაც ვრცლად აუხსნა პარტიის წევრებს დღევანდელი მდგომარეობა. მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები, რასაც ამხ. პ. წულაიამ ვრცელი პასუხი გასცა.

8 საათის სამუშაო დღის შესახებ მოხსენებას აკეთებს ადგილობრივი კავშირის თავმჯდომარე ამხ. დომ. ჟღენტი, რომელიც ვრცლად შეეხო ამ საკითხს და აღნიშნა, რომ ზოგიერთ დაწესებულებაში და მოსამსახურეებზე არ ვრცელდება 8 საათის სამუშაო დღე. მოხსენების შემდეგ კრება მთლიანად დაეთანხმა დამფუძნებელი კრების წევრს ამხ. პ. წულაიას, რათა იქნეს გატარებული [illegible] სამუშაო დღის კანონი. 8 საათის სამუშაო დღე გავრცელდეს ყველა მუშებზე. [illegible] მოისმინა მოხსენება [illegible] მომენტის შესახებ ამხ. პ. წულაიასი, სრული კმაყოფილი დარჩა და დაუცვა საქართველოს დამოუკიდებლობის, რომელსაც [illegible], გუბერნიის შესახებ კრებამ დაამტკიცა ის თავდაპირველი ამბები, რომლებშიც სრული განაცხადები გუბერნიაში მუშაობის.

პარტიის წევრებათ მიღებული იქნა 8 ახალი ამხანაგი.

მეორე დღეს საღამოს 6 ს. კონსერვატორიის აუდიტორიაში, შედგა თბილ. რკ. გზის რაიონის შეკ. კოლექტივების შეერთებული პარტიული კრება, რომელსაც დაესწრო დაახლოებით 400 წევრი. დღის წესრიგში შედიოდა შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება რკ. გზის რაიონული შეკ. კოლექტივების, პარტიის წევრების მიღების და დათხოვნის შესახებ, 2) პარტიის წევრების გადაცვლა სხვადასხვა მიზეზების გამო. რაიონულმა შეკ.-კოლექტივების კრებამ დაამტკიცა წევრების გადაცვლა 2 წევრის გამოკლებით, კრება დაადგენს რეზოლუციას, რომლითაც გამორიცხულ უნდა იქნან პარტიიდან ყველა ის, ვისაც [illegible] ბრალდება, პარტიის წინაშე მხოლოდ ის პარტიის წევრები, ვისაც მარტო არ დაუკარგავს 6 თვის განმავლობაში, მიეცეს ერთი კვირის ვადა, თუ გამოცხადდნენ სერიოზულ მიზეზით პარტიაში ნაწევრის ძირითადი იარაღის დასაცავად იქნეს მიღებული. მესამე კითხვა იყო 8 ს. სამუშაო დღე. დაადგინეს ეს საკითხი დღის წესრიგში დაიტოვონ პარტიის ფუნქციებში, რათა სრულიად იქნას გაშუქებული ის ყველა დარგში.

ს. ნ.

მუშათა შორის

თბილისი. 2 თებერვალს ქალაქის შრომის ბირჟაში შედგა [illegible] მოსამსახურეთა კავშირის წევრთა საერთო კრება. კრება გახსნა გამგეობის თავმჯდომარემ გ. მიხიელიშვილმა. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ლ. მიქაბერიძე, მდივნად ვ. პავლენკო. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: მოხსენება გამგეობის, სარევიზიო კომისიის, წლიური ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება, გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები. ჯამაგირებზე გადასვლა, საწევრო გადასახადების გადიდება. ქალაქის [illegible] კასასთან შეერთება. მზარეულებთან და შინაგან მოსამსახურეებთან შეერთება, მიმდინარე საკითხები.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგეობის სახელით მდივანი პ. ლაცევე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უმთავრესი საკითხი, რომლის ირგვლივ მუშაობდა გამგეობა, იყო უმუშევართა საკითხი და კონფლიქტები. მიუხედავად რთული ობიექტიური პირობებისა გამგეობამ მაინც შესძლო დაეყენებინა ადგილებზე საკმაო უმუშევარი. კონფლიქტები ჰქონდა თავის განმავლობაში ხშირი იყო, მაგრამ კონფლიქტებს არ ჰქონდა ფართო მასშტაბური ხასიათი. ყველა კონფლიქტები თავდებოდა მშვიდობიანი გზით. მარტო ერთი შემთხვევა იყო, როდესაც გამგეობამ მიმართა გაფიცვას რესტორან „შან მანზ“, რომელიც კავშირის გამარჯვებით დასრულდა. [illegible] ყველაზე მეტი ქონდა მიქცეული ორგანიზაციულ მუშაობას, გამგეობის მიერ დაარსებულ იქნა დელეგატთა საბჭო.

ექვსი თვის განმავლობაში გამგეობის მუშაობას ჰქონდა ნაკლი, მაგრამ ეს არ იყო მარტო გამგეობის ბრალი, აქ ბრალი უდევს რთულ ობიექტიურ პირობებს.

შემდეგ მოხსენება გააკეთა სარევიზიო კომისიის სახელით. მან საზოგადოდ კრებას აჩვენა შემდეგი კასის მდგომარეობა. გამგეობას ბანკში შეტანილი 35,000 მანეთი, მოლარეს ქონია 13,138 მან. 83 კაპ., გასესხებული ყოფილა 14,890 მან. უმუშევართა ფონდში ყოფილა 12 601 მან. რკინის გზის [illegible] კავშირის 2,784 მან. სულ 78 413 მან. 83 კაპ. ამგვარად კავშირის გამგეობას ხელთ შეუნახავს ის ინვენტარი, რომელიც მას ჩაბარებია [illegible]. მოხსენებების შემდეგ კრება იღებს შემდეგ რეზოლუციას; მოისმინა რა მოხსენება გამგეობის და სარევიზიო კომისიისა, ვადასტურებთ მათ მოქმედებას და გადავდივართ შემდეგ საკითხზე.

შემდეგ მოხდა არჩევნები გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრებისა. არჩეულ იქნენ: გ. მიხიელიშვილი, მატიაშვილი ლ., პ. გოცირიძე, ნიკ. ყიფიანი, ა. მოდებაძე, მ. კვიციანიძე, ბ. ჩხუხიძე, ილიკო გაბიჩვაძე, გ. ჯიქია, ბ. შენგელაია, ი. მშვიდობაძე, ვ. მაჭარაძე, ლ. კანდელაკი, დ. ნაცვლიშვილი, ვ. ფარჯიანი; კანდიდატებად: ხიზანიშვილი, ვ. ასათიანი, ვ. ბერძენიშვილი, [illegible]. ამის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია გაუგზავნოს სალამი მთავრობის თავმჯდომარეს, გუბერნიის შტაბს და ჯარს მისალოცი დეპეშები, საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის გამო. კრება გადაიდო მეორე დღისათვის 10 ს.

3 თებერვალს, კრებას ხსნის [illegible]. სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნენ: კარსელიძე ვ., ხოსროშვილი მ., [illegible]; კანდიდატებათ: [illegible] და ჯიბლაძე. შემდეგი საკითხი იყო ჯამაგირებზე გადასვლა. მომხსენებელმა ამ საკითხზე აღნიშნა, საერთოდ კავშირის ბრძოლისთვის და კერძოდ ჩვენი კავშირისთვის თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჯამაგირებზე გადასვლას. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი (ორატორები არ იყვნენ პრინციპიალურად ჯამაგირების წინააღმდეგი, მხოლოდ ლაპარაკი სცნობდნენ განუხორციელებლად) ნაწილი ორატორებისა არ იყო მომხრე ჯამაგირების, რადგანაც ამას დღეს ცნობდნენ განუხორციელებლად (ჯიქია, კვერნაძე, გოცირიძე და სხ.) დანარჩენები კი იყვნენ მომხრე. კამათის შემდეგ შემოსულ წინადადებაში, [illegible] მაჭარაშვილის შემდეგი წინადადება: მოისმინეთ რა მოხსენება ჯამაგირებზე გადასვლის შესახებ, კრება თანახმაა ჯამაგირებზე გადასვლისა და მის უმტკივნეულოდ განხორციელებას ავალებს გამგეობას, ამასთანავე ავალებს, რომ გადასვლა მოხდეს [illegible] და თუ საკითხი გარკვეულად მოწყობილ იქნება დელეგატთა საბჭოს ყურადღება და საკითხის გამორკვევა გადაეცეს მას. საწევრო გადასახადების შესახებ, კრებამ დაადგინა შემდეგი: პირველი კატეგორიის [illegible] 30 მან., მეორე—20 მ., მესამე—15 მ., მეოთხე—10 მან.

რადგანაც დრო არ იყო, კრება გადადო 4 თებერვლისათვის.

4 თებერვალს დღის წესრიგში ერთი შეერთება მზარეულებთან და შინა მოსამსახურეებთან.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. ილაპარაკეს მზარეულებმაც. შეერთების წინააღმდეგ არავინ ყოფილა, მხოლოდ მზარეულები ხელზე მოსამსახურეებს [illegible] ამაზე ლაპარაკი, რადგანაც მზარეულების [illegible] შეერთებაზე ახლა იყო. ისინი ამბობენ: სანამ ხელზე მოსამსახურეები ჯამაგირზე არ გადავლენ, მანამ არ შევერთდებითო. კამათის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია:

„მოვისმინეთ რა მოხსენება შეერთების შესახებ, კრება აღნიშნავს, რომ დღევანდელი გამგეობის კიდევ ოფიციალურად მოიწვიოს მზარეულების შეერთების საკითხზე, რაც შეეხება [illegible] შეერთებას, კრებამ უარყო. [illegible] კასასთან შეერთების შესახებ კრებამ მიიღო შემდეგი დადგენილება: რადგანაც ამ საკითხის შესახებ არ იყო სპეციალური მომხსენებელი, დარჩეს საკითხი ღიათ“.

მიმდინარე საკითხებში იყო უმუშევართა განცხადებები, რომლებიც ითხოვდნენ დახმარებას, სხვადასხვა სასტუმროებში. განცხადების შესახებ კრებამ დაადგინა არჩეულ იქნას კომისია სამი კაცით, რომლებიც, გამგეობასთან ერთად იმუშავებს უმუშევრების საქმეზე დასაყენებლად, სხვა ფორმით—ეს საქმე მათ მიერ დაწესებული იქნება, თუ დამატებით; კომისიის მოქმედება შეთანხმებული უნდა იქნეს ყოველივე კონკრეტულ პირობებთან. წინადადება, რომ თავმჯდომარეს ჯამაგირი დაენიშნოს, უარყოფილ იქმნა.

X.

ბაღდადი. 12 თებერვალს შედგა [illegible] სოც.-დემ. [illegible]. თავმჯდ. მ. კუკინაშვილი. დღის წესრიგი: 1) მოხსენება არჩევნების შესახებ, 2) არჩევნები ადგილობრივი აღმ. კომ. კრება დაიწყო ამხ. [illegible]. მოხსენება არჩევნების შესახებ გააკეთა ამხ. [illegible], რომელმაც გააცნო კრებას არჩევნების წესი. კრებამ მოისმინა მოხსენება და გადავიდა არჩევნებზე. ხმის უმრავლესობით გავიდნენ შემდეგი პირები: ჯორჯაძე, სილიბაძე, ნ. [illegible], სტ. ნაცვლიშვილი, გ. კვერნაძე, ბ. კუკინაშვილი, ს. [illegible]. მათ კანდიდატებათ: იაშვილი, ხიზანიძე, მჭედლიშვილი. [illegible]

[illegible] პ. ბოკერია.

პროვინცია

ხაშ. მეჯვრისხევი (გორის მაზრა). ადგილობრივმა ინტელიგენციამ გლეხობის ერთად დააარსა „კულტურულ განათლების საზოგადოება“. ამ საზოგადოების დამფუძნებელ კრებას დაესწრო ადგილობრივი თემის თავმჯდომარე ქიტუაშვილი, ყველა მასწავლებლები, დაწესებულების წარმომადგენლები და მრავალი სხვა. აქვე მიღებულ იქნა წესდება გამომუშავებული და მიღების შემდეგ ზოგიერთმა დამსწრემ განაცხადა ამ საზოგადოების სასარგებლოთ თავისი წლიური შემოსავალი [illegible] და თანახლოვებით, კრებამ საზოგადოების საპატიო თავმჯდომარეთ აირჩია ჩვენი — მასწავლებელი—მოღვაწე ნიკო ქურდიანი და ახლად ამორჩეულ გამგეობას დაავალა ეს ამბავი მისთვის ეცნობებინა. გამგეობაში იქნენ არჩეულნი: 1) ერთობის გამგეობის თავმჯდომარე გ. ოქრუაშვილი, 2) სასწავლებლის გამგე მთიულიშვილი; 3) ფოსტ. ტელ. მ. ქურთაშვილი, 4) მოქალ. ვ. ბათიაშვილი; 5) ექიმი შ. მიროტაძე; 6) მამასახლისი მოსამართლე—გ. ქიტიაშვილი და 7) მასწავლებელი დ. მშიაშვილი. ჩვენ გვწამს და ვარწმუნეთ, რომ ახალგაზრდა არც ერთი არ დაზოგავს ენერგიას და გაამართლებენ [illegible]. ამ ერთი [illegible] საგანმანათლებლო, ამ დღეებში გაიხსნება ახალ ბინაზე წიგნთსაცავი სამკითხველო, არსდება სცენის მოყვარეთა დრამატიული წრე, წერა-კითხვის [illegible] ყოველ კვირას [illegible] მოზრდილებისთვის, საბავშვო კითხვები და სხვა. ახალი გამგეობა გულმოდგინეთ დაეწაფა ამ მშვენიერ საქმეს, და თუ ერთი პირი, ერთი გადაცემა იქნება, მრავალი კარგის გაკეთება შეიძლება.

მეორეს მხრივ ხალხის მდგომარეობას, [illegible] შეიძლება [illegible]. [illegible] ხალხი [illegible] თავის [illegible], მაგრამ სახლში, რომ ცოლშვილი სიცივით უცინება უშეშობით, ეს დღეის რისხვა მიაჩნია; [illegible], ჩექმიანი ხალხი, [illegible]. [illegible]

ს—მ—თედო.

დუშეთი. 1 თებერვალს დუშეთში შედგა დუშეთის რაიონის კოოპ. კავშირის, მოკავშირე კოოპერატივების რწმუნებულების წლიური კრება. ამ კრებაზე საგანგებოთ მოწვეული იყო საქ. კოოპერატივთა ცენტ. კავშირიდან უფროსი ინსტრუქტორი ალ. [illegible]. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. [illegible]. მდივნად ი. [illegible].

დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება გამგეობისა, 2) სარევიზიო კომ. 3) ანგარიშების განხილვა, 4) მოხსენება ინსტრუქტორის [illegible] შესახებ. 5) [illegible]. 6) 1920 წ. ხარჯთ აღრიცხვა. 7) კავშირის ფინანსიური მდგომარეობა. 8) მიმდინარე კითხვები. 9) არჩევნები გამგეობისა და სარევიზიო კომ. მოხსენება [illegible]. მან გააცნო კრებას ის, თუ რა დაბრკოლებები ელოდათ წინ გამგეობას მოქმედებაში; აღნიშნა ფინანსიური კრიზისი კავშირისა და მისი გამომწვევი მიზეზები. აღნიშნა ისიც, თუ რა ზომებით მიიღო გამგეობამ სხვა და სხვა დაბრკოლებების გადასალახავათ და რამდენათ მიიღწია მიზანს.

შემდეგ ამისა ის აცნობს კრებას წლიურ ანგარიშს. სარევიზიო კომ. სახელით მოხსენებას აკეთებს პ. იმნაძე, ის საფუძვლიან ეცნობება გამგეობის მოქმედებას, მხოლოდ აღნიშნავს ზოგიერთ ნაკლს.

კრებამ მოისმინა რა მოხსენება გამგეობისა და სარევიზიო კომ., დაადგინა: ვინაიდან რა მხედველობაში იმ ფინანსიურ მდგომარეობას, რომელშიაც უძღვებოდა მუშაობა გამგეობას, ცნობს გამგეობის მოქმედებას სრულიად დამაკმაყოფილებლათ.

წარმოდგენილი ანგარიში ერთ ხმით დამტკიცებულ იქნა.

მოგება 117 954 მან. 33 კაპ. კრებამ განაწილა შემდეგ ნაირათ: ძირითად თანხაში გადარიცხა 10 პროც., რაც შეადგენს 13.490; სათადარიგო თანხა—26,980; კოოპ. შკოლას 5,000 მან., კოოპერატიულ კურსებს 5,000 მან. [illegible] რაიონში 10,000 მან., დუშეთის და ბავშვთა სახ. 3,000 მან., [illegible] ბიბლიოთეკის ოთახებს 2,000 მან., ადგილობრივ პრესა კავშირს 1.000 მან., მოსამსახურეებს ქველ სინდისიერ შრომისათვის ერთ დროულ ჯილდოთ 5 800 მან., ჯარში კულტურულ მუშაობისთვის 1,500 მან., შენობის ფონდისათვის 44,284 მან. 33 კაპ., 1920 წლის წარმოდგენილი ანგარიში (ხარჯთ-აღრიცხვა) იქნა მიღებული. კრებამ დაადგინა: [illegible] გადიდდეს 3 მანეთამდე, გამგეობას მიეცეს უფლება კავშ. [illegible] ისესხოს ერთ მილიონ მანეთამდე.

გამგეობის წევრებათ არჩეულ იქნენ: ს. ბუხუხაიშვილი, ს. ყურუშიძე, და დიმიტრი ფურცელიშვილი.

სარევიზიო კომ. წევრებათ: ლ. თოხაძე, ლ. ქუჩუკიძე, პ. იმნაძე, ი. ორაგველიძე, დ. წოწკაძე.

თეოფანე ზემო-აკეთელი.

წერ. რედაქციის მიმართ

ნება მოგვეცით თქვენი გაზეთის საშუალებით ღრმა მადლობა გადაუხადო შემდეგ გაზეთების და ჟურნალების რედაქციებს: „სოციალ-დემოკრატის“, „შრომის“, „სახალხო საქმის“, „საქართველოს რესპუბლიკის“, „მუშათა ცხოვრების“, „თეატრი და ცხოვრების“ და „ეშმაკის მათრახის“, რომლებმაც გამოეხმაურნენ ჩვენს მოწოდებას და დაუგზავნეს გაზეთები და ჟურნალები ჩვენს ახლად დაარსებულ სამკითხველოს. აგრეთვე მადლობას უცხადებთ შემდეგ პირებს, რომლებმაც შემოსწირეს სამკითხველოს: იოსებ იმედაშვილს, რომელმაც შემოსწირა ჟურნალი „თეატრი და ცხოვრების“ გასული ოთხი წლის ყველა ნომრები, ამხ. რ. [illegible], რომელმაც შემოსწირა 200 მ. სხვადასხვა წიგნები და ს. [illegible] რამდენიმე ასი მანეთის წიგნების შეწირვისათვის ს.

ხაშ. გვერდის სადგურის მასწავლებელი და [illegible] წიგნთსაცავ-სამკ. გამგე დ. ორაგველიძე.

განცხადებანი

ექიმი დ. ა. [illegible].
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათამდე. [illegible] ქუჩა № 67, [illegible] აფთიაქის ახლოს.

ექიმი
პ. ზ. ვართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიული სნეულებები (სიფილისი "606" და 914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ 5—7 საათ. სურამის ქ № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (თ. 546)

ექიმი ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ქალთა სნეულებანი. ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ-ნაწლავების: პეჩების და ნერვიულ სისტემის. რენტგენისა და ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი. მიიღებს დილის 11—12 და საღამოს 4—7 საათ. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3. (471)

ექიმი
ზ. ი. მირიანაშვილი
შინაგანი სნეულებანი, მიიღებს საღ. 5—7 საათამდე, გარდა კვირისა. ანდრიევის ქუჩა, № 74. ბინა № 1. ვაგზლის აფთიაქის ახლო. (349)

ექიმი დ. ნ. ჯაჯანაშვილი.
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებებით ავადმყოფებს დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. ([illegible] ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

თ ე რ ა პ ე ვ ტ ი
ექიმი ა ბ ა შ ი ძ ე
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების, ჭლექის აქიმობა „ტუბერკულინით“ და „[illegible]“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914“ და „606“ შეშხაპუნებით. ქ. ხიმშიაშვილის სახლში. (კუპ. 60)

კერძო სამკურნალო
ექ. დონხინისა
(მუდმივი საწოლებით) ხიმ. ქ. № 141
ტელეფ. 5—07
(სამხედრო სასწავლებლის წინ კინო-ტეატრ „აპოლოს“ გვერდით). ყოველგვარი სნეულებიანი ავადმყოფების მიღება სრული პანსიონი. ცალკე ოთახები (თ. 218)

თვალის ექიმი
ნ. მ. ცხვედაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდე. იმერელის ქუჩა № 11. [illegible] ქუჩიდან პირველი შესახვევი. (თ. 3822)

ექიმი მ. ა. [illegible]
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible]. მისამართი: [illegible] ქუჩა № 33

ვისაც სურვილი აქვს სწრაფად და მოგებით გაყიდოს ან იყიდოს

სახლი

მამული, აგარაკი, მიწები და ზღვის პირად მდებარე ადგილები მთელ კავკასიაში, საწარმოო და სავაჭრო დაწესებულებანი, ქარხნები, ფაბრიკები და ყოველგვარი ქონება, მიმართოს ინტელიგენტთა ჯგუფს, რომელსაც საუცხოოთ აქვს მოწყობილი კლიენტურა. [illegible] ქ. № 3. ბინა 2. ტელეფ. 2—28 დილის 11—2 და საღამოს 5—7 საათ. (596—1—1)

წიგნების გამომცემლობა
„ნორჩი საქართველო“
გამოვიდა და იყიდება

1) ჩიტ-ბიჭუნა. ს. ძიმისტარიშვილისა . . . 6 მან.
2) [illegible]. ირ. ევდოშვილისა . . . 7 მან.

წიგნები დასურათებულია ფერადი სურათებით.

იბეჭდება და გამოვა თებერვალში

1) გრ. ნათაძის წიგნი „პირველყოფილი კულტურა . . 25 მან.
2) ანდერსენის ზღაპრები. თარგმანი ილ. ნაკაშიძისა.

იბეჭდება და მალე გამოვა:

1) ლეო ქიაჩელის საყმაწვილო მოთხრობა „[illegible] თვალი“.
2) კირილე ნინიძის წიგნი სამართლის მეცნიერება.
3) ცქიტიშვილის მოთხრობები.
4) ნინო ნაკაშიძის მოთხრობები.
5) ალ. მირიანაშვილის იგავ არაკები.
6) [illegible] მოთხრობები.
7) ალ. მიქაბერიძის მოთხრობები.
8) იოსებ ყიფშიძის მსოფლიო ზღაპრები.

გამომცემლობის წიგნების საწყობი: თბილისი, ხლ. [illegible]. დამფუძნებელი კრების ქუჩა № 6.

ს ა ჭ ი რ ო ა
კ ა ნ ტ ო რ შ ჩ ი კ ი
ქართულისა და რუსული ენების (წერა კითხვის) მცოდნე. მიეცემა ბინა და სასმელ-საჭმელი, სასურველია მარტოხელა. [illegible] „ნოეს“ კანტორაში. ყოველ დღე დილის 9—10 საათ. და საღამოს 6—7 საათ. (580—2—1)

[illegible] № 1.